5	სასტ. „რივერა“ "	19/VIII	2—55	"	"	27,6	67	1 1	W 3	13,4	27,3	

ნობა მოცემული წესით იოდის განსაზღვრის სიზუსტეზე გავლენას არ ახდენებოდა სათვის ვიღებდით J' -ის 10 γ -ს, რომელსაც ემატებოდა ცვალებადი რაოდენობა ნატრიუმ-ნიტრიტის ტიტრიანი ხსნარისა. განსაზღვრის მსვლელობა ისეთივე იყო, როგორიც ზემოთ არის აწერილი იოდის საკონტროლო განსაზღვრის შემთხვევაში. NO_2 -ის 0,0001—0,0005 გ.-ის რაოდენობათა ხუთ ცდაში იოდის საშუალო რაოდენობა მიღებული იქნა — 9,98γ. იოდის გარეშე ჩატარებულ საკონტროლო ცდის შემთხვევაში KJ -ის მიმატების და შემეჯავების შემდეგ სახამებლით შეფერვა არ იქნა მიღებული, რაც უთუოდ მოწმობს იმას, რომ აღებული რაოდენობა NO_2 '-ის დაფანგვა სრულად მიმდინარეობს. ნიტრიტის უფრო მეტ რაოდენობათა შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მიუღებელ შედეგებს.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ჩენ მიერ აღებული ჰაერის 15 ნიმუშიდან, მხოლოდ 7 შემთხვევაში მივიღეთ ნიტრიტ იონზე დადებითი წვეთური რეაქცია გრისის რეაქტივით (მეცნიერი ნაშთის ფილტრატიდან, პლატინის წერილ, საათის მინაზე ვიღებდით ერთ წვეთს, ვუმატებდით განხავებულ ძმარმეავის ერთ წვეთს და შემდეგ გრისის რეაქტივს). უკანასკნელ შემთხვევაშიც შეფერვის მიღება მყის არ ხდებოდა, რაც მოწმობს იმას, რომ აზოტოვანი ანჰიდრიდი და NO_2 ჰაერის აღებულ ნიმუშებში მეტად უნიშვნელო რაოდენობით არის შეცული, რისთვისაც მოწოდებული წესით იოდის განსაზღვრის სიზუსტეზე გავლენას არ ახდენს.

№ 3 ცხრილში მოყვანილია შავი ზღვის აჭარის სანაპიროების ატმოსფეროს ჰაერში აღწერილი მეთოდით იოდისა და ბრომის განსაზღვრის შედეგები, რაც ჩატარებულია 1939 წ. იელის-აგისტოს თვეებში.

მოყვანილი შედეგებიდან რაიმე გარკვეული დამოკიდებულების არსებობას ჰაერში იოდის და ბრომის რაოდენობასა და მეტეოროლოგიურ პირობებს შორის* ვერ ვხედავთ. დღის სხვადასხვა დროს ერთიდაიგივე ადგილიდან აღებულ ნიმუშებში შემჩნეულია $\frac{Br'}{J'}$ თანაფარდობის მცირედ შეცვლა. ასე, 9/VII 9-30'
აღებულ ნიმუშში $\frac{Br'}{J'} = 3,7$, ხოლო 5-30' კი $\frac{Br'}{J'} = 3,3$. საერთოდ კი ძირითა-


დად $\frac{Br'}{J'}$ თანაფარდობა 2—4-ის ფარგლებშია. საგულისხმოა, რომ ნაპირზე ძლიერი ტალღის და, მაშასადამე, აშხეფვის მეტი შესაძლებლობის პირობებში, ბრომისა და იოდის რაოდენობა დიდ მერყეობას არ განიცდის და $\frac{Br'}{J'}$ თანაფარდობა შედარებით მცირედ იცვლება, რაც თვალსაჩინოდ ჩანს ქვემოთ მოყვანილი გრაფიკიდან (ნახ. 1). ორდინატის ლერძნები დატანილია იოდისა და ბრომის რაოდენობა მიკროგრამებში, აბსცისზე კი ნიმუშის აღების თარიღი.

აღსანიშნავია, რომ ქობულეთში აღებულ ნიმუშებში იოდის რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება სანაპიროს სხვა ადგილებში მიღებული იოდის რაო-

* მეტეოროლოგიური მონაცემები მიღებულია თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამართველოდან.



დენობას, ბრომისა კი შედარებით შემცირებულ რაოდენობას იძლევა და მიღწეულია $\frac{Br'}{J'}$ -ის ონაფარლობა ერთხე ნაკლები (11-VIII და 17-VIII)-



საფუძვლიანია ზოგიერთი აეტორის აზრი იმის შესახებ, რომ იოდის გადასცემა ატმოსფეროს ჰაერში გამოწვეულია ზღვის წყალში შეცული იოდიდის გადასცლით თავისუფალ იოდად უანგვითი პროცესის შედეგად, რასაც ხელს უწყიბს მზიური რადიაცია. ბრომის მიმართ კი ასეთი პროცესის დაშვება საალბათოა, პოტენციალ $EoBr_2/2Br'$ მეტი სიდიდის გამო (1,09) ატმოსფეროს ენერგიადის პოტენციალთან შედარებით. ამიტომ ბრომი ჰაერში ბრომიდების სახით (ჰაეროზოლი) უნდა იყოს. ვინაიდან ბრომიდის შეცულობა ზღვის წყალში ~ 1000 -ჯერ აღემატება იოდის რაოდენობას, ცხადია, რომ ყველა ის პირობა, რომელიც ხელს უწყიბს ზღვის წყლის აშხეფვას, იწვევს ბრომის გადიდებულ რაოდენობას, მაშინ როდესაც იმავე პირობებში იოდისათვის ეს მიღებული არ არის (ნახ. 1). აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ვიმსჯელოთ იოდის და ბრომის რაოდენობის შესახებ, საერთოდ, ყველა პირობისათვის, არამედ საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული ყველა ის ფაქტორი (ჩვენი შედეგების ცხრილში მოყვანილი და, შესძლებელია, სხვაც.), რომელზეც მეტი ან ნაკლები ხარისხით დამოკიდებულია მათი ჰაერში გადასცემა.

დასძვრები

ინკრიციული
გიგანტური

1. ჩატარებულია იოდისა და ბრომის რაოდენობითი განსაზღვრა შავი ზღვის აკარის სანაპიროების ატმოსფეროს ჰაერში.

2. მოცემულია მეთოდიკა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას J' და Br' -ის ერთეულ მიკროგრამებში განსაზღვრისას. ალებული ჰაერის ნიმუშიდან (450L) ხსნარში ვადასული NO_2' -ის რაოდენობა იძლენად უმნიშვნელოა, რომ მოყვანილი წესით J' და Br' განსაზღვრის სიზუსტეზე პრაქტიკულად გავლენას არ ახდენს.

3. 1939 წ. ივლის-აგვისტოს თვეებში ჩატარებული მუშაობის შედეგად $1m^3$ ჰაერში მიღებულია: იოდის რაოდენობა $4 - 35\gamma$, ხოლო ბრომის $17 - 52\gamma$ -ის ფარგლებში.

4. ზღვის სანაპიროს ჰაერში იოდისა და ბრომის რაოდენობის ცვალებადობაზე გვილენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები, რომელთა დაწვრილებით შესწავლა ჩვენ მიერ განზრახულია.

ლიტერატურა

1. Акад. А. Ферсман, Геохимия, т. IV, 167, 225 (1939).
2. Bioch. Zeit. 152, 132 (1924); Z. anal. ch. 71, 222 (1927).
3. Z. ang. Chem. 29, 68 (1916).
4. Science 56, 269 (1922).
5. J. Hyg. 24, 321 (1925).
6. Water a. Gas 9, 39 (1925).
7. Bioch. Z. 170, 76 (1927).
8. Bioch. Z. 206, 273 (1929).
9. Z. anal. Chem. 17, 305 (1878).
10. Chem. News 25, 196 (1872).
11. Compt. rend. 128, 1084 (1899).
12. Z. anorg. Chem. 63, 184 (1909).
13. Z. anal. Chem. 104, 16 (1936).
14. Ж. прикл. химии. X, 12 (1937) 2152.
15. В. Хухия, К вопросу об определении малых количеств иодидов и бромидов. Диссертация. Тбилиси, 1939 г.

В. Л. Хухия

Количество иода и брома в атмосферном воздухе на побережье Черного моря Аджарской АССР

(Резюме)

1. Проведено определение иода и брома в атмосферном воздухе на побережье Черного моря Аджарской АССР (Махинджаури, Цихисдзири, Кобулети).



ОГРН 1053020000040

2. Данна методика, позволяющая определение иода и брома в ми-
кrogramмах. Количество нитрит-иона, перешедшего в раствор из взятой
пробы воздуха (450 L) столь незначительна, что на точность применяе-
мого способа определения иода практически влияния не оказывает.

3. В результате полученных данных, в период июль—август 1939г.,
в одном м³ атмосферного воздуха содержание иода колеблется между
4—35γ, а брома 17—52γ.

4. Предварительно установлено, что на изменение количества иода
и брома в воздухе оказывает влияние целый ряд факторов, подробное
изучение которых нами предполагается.

6. ტანანავგი, 3. ცუხია

Ba⁺⁺, Sr⁺⁺, Pb⁺⁺ და Hg⁺⁺-ის წილადური აღმოჩენა

თვისებითი ანალიზის ჩვეულებრივი კლასიკური სისტემატური წარმოების გაჭიანურებული და მთელი რიგი ანომალიების გამო¹, რომელთანაც დაკავშირებულია ანალიზის მსვლელობა, სამართლიანად წამოიქმნა ანალიტიკოსების წინაშე საკითხი მისი რაციონალიზაციის ან შეცვლის მიმართულებით. ცნობილია, რომ ამ მხრიց სისტემატური ანალიზის მეთოდიკაში შეტანილ იქნა მრავალგვარი ცვლილება, მეტწილად გოგირდწყალბადის სხვა ნივთიერებით შეცვლის მიზნით.

ერთ-ერთ ჩვენთაგანის მიერ დამუშავებული და მოცემული თვისებითი ანალიზის წილადური რეაქციები² განირჩევა. იმ უპირატესობით, რომ იძლევა ცალკეულ კატიონთა და ანიონთა აღმოჩენის (ან რაოდენობითი განსაზღვრის) შესაძლებლობას ყველა დანარჩენი იონის თანაობისას, ე. ი. მათი წინასწარი დაცილების გარეშე. ამასთანავე, აღმოჩენის ქრონომეტრაჟი გაცილებით ნაკლებია, ვინენ ჩვეულებრივი კლასიკური წესით.

წილადური რეაქციებით შესაძლებელი ხდება აგრეთვე ისეთი ელემენტების აღმოჩენა, რომლებიც ან სრულებით არ შედიან სისტემატური ანალიზის მსვლელობაში, ან შეტანის შემთხვევაში ძალზე ართულებენ და ახანგრძლივებენ ანალიზს.

წინამდებარე შრომაში ჩვენ მოვყავს Ba⁺⁺, Sr⁺⁺ და Pb⁺⁺-ის წილადური აღმოჩენა; თუ საკვლევი ობიექტი შეიცავს Hg⁺⁺-ს, აღნიშნული კატიონების მოწოდებული წესით მსვლელობასთან დაკავშირებით შესაძლებელი ხდება უკანასკნელის აღმოჩენაც.

თეორიული ნაწილი

ბინარულ ელექტროლიტთა ნალექების ხსნადობაზე მსჯელობა შეგვიძლია მათი ხსნადობის ნამრავლის (L_p) მიხედვით. ტყვიის, ბარიუმისა და სტრონციუმის სულფატ-ნალექთა L_p შემდეგია: $L_p \text{PbSO}_4 = 1,0 \cdot 10^{-8}$, $L_p \text{BaSO}_4 = 1,0 \cdot 10^{-10}$, $L_p \text{SrSO}_4 = 3,0 \cdot 10^{-7}$.

მოყვანილი სიდიდეებიდან ჩანს, რომ აღნიშნული კატიონები SO_4^{2-} -ის მოქმედების შედეგად საკმაოდ უხსნად ნალექებს იძლევიან. თუ მიღებულ სულფატ



ნალექებს სოდის ხსნარით დავამუშავებოთ, ადგილი ექნება ტყვიისა ჟურნალური ციუმის სულფატის—კარბონატი ნალექში გადასვლას. ამ გადასვლის სიღიღეებზე მსჯელობა შეიძლება სათანადო კონსტანტების მიხედვით (წონასწორობის მომენტში). მართლაც, წონასწორობი რეაქციების:

1. $[PbSO_4] + CO_3'' \rightleftharpoons [PbCO_3] + SO_4''$
2. $[BaSO_4] + CO_3'' \rightleftharpoons [BaCO_3] + SO_4''$
3. $[SrSO_4] + CO_3'' \rightleftharpoons [SrCO_3] + SO_4''$

კონსტანტები, გამოანგარიშებული ნალექთა სათანადო L_p -დან, გვაძლევს:
1-ლი რეაქციისათვის

$$K = \frac{(SO_4'')}{(CO_3'')} = \frac{L_p PbSO_4}{L_p PbCO_3} = \frac{1,0 \cdot 10^{-8}}{3,3 \cdot 10^{-14}} = 3,03 \cdot 10^5$$

მე-2 რეაქციისათვის

$$K = \frac{(SO_4'')}{(CO_3'')} = \frac{L_p BaSO_4}{L_p BaCO_3} = \frac{1,0 \cdot 10^{-10}}{1,9 \cdot 10^{-9}} = 0,52 \cdot 10^{-1}$$

მე-3 რეაქციისათვის

$$K = \frac{(SO_4'')}{(CO_3'')} = \frac{L_p SrSO_4}{L_p SrCO_3} = \frac{3,0 \cdot 10^{-7}}{1,5 \cdot 10^{-9}} = 2,0 \cdot 10^2$$

როგორც K -ის ამ სიღიღეებიდან ჩანს, $[PbSO_4] \rightarrow [PbCO_3]$ -ში გადასვლა პრაქტიკულად $100\%_0$ -ით, ე. ი. რაოდენობრივად იქნება, რაც ნ. ა. ტანანაევის მიერ გამოყენებულ იქნა ტყვიის რაოდენობითი განსაზღვრისათვის.

$[SrSO_4] \rightarrow [SrCO_3]$ -ში გადასვლა, მართალია, პრაქტიკულად მთლიანი არ არის ($99, 5\%$), მაგრამ სავსებით საჭმარისია თვისებითი ანალიზის მიზნებისათვის.

$[BaSO_4] \rightarrow [BaCO_3]$ -ში გადასვლა შედარებით მცირეა ($4,7\%$), მაგრამ მოწოდებული ანალიზის მსვლელობაში მაინც ანგარიშგასაშევ სიღიღეს წარმოადგენს. უკანასკნელის შემცირება იქმდე. რომ ბარიუმის სულფატი-კარბონატში პრაქტიკულად გადაუსვლელი გახდეს, შეიძლება მიღწეულ იქნას, თუ მოყვანილ წონასწორულ სისტემაში შევიტანო სულფატ-იონებს (Na_2SO_4 -ის სახით) გარკვეული სიჭარბით (მაგ., ათჯერადად კარბონატ-იონის მიმართ). მაშინ, ცხადია, თანაფარდობის სიღიღე მცირებული შესაბამისად უნდა შემცირდეს. ასე, სულფატ-იონის ათჯერადი სიჭარბისას, უთუოდ გვექნება:

$$1 \cdot 10 \frac{(SO_4'')}{(CO_3'')} = 3,03 \cdot 10^5, \text{ ან } \frac{(SO_4'')}{(CO_3'')} = 3,03 \cdot 10^4$$

$$1 \cdot 10 \frac{(SO_4'')}{(CO_3'')} = 0,52 \cdot 10^{-1}, \text{ ან } \frac{(SO_4'')}{(CO_3'')} = 0,52 \cdot 10^{-2}$$

$$3 \cdot 10 \frac{(SO_4'')}{(CO_3'')} = 2,0 \cdot 10^2, \text{ ან } \frac{(SO_4'')}{(CO_3'')} = 2,0 \cdot 10^1$$

მიღებული რიცხვითი მნიშვნელობა, $0,52 \cdot 10^{-2}$, რომელიც უგადებულია $[BaSO_4] \rightarrow [BaCO_3]$ -ში გადასვლის სიდიდეს, უკვე უმნიშვნელოა ($0,4\%$) იმისთვის, რომ PbდაSr-თან ერთად ხსნარში გადავიდეს Ba-იონიც (მოწოდებული მსვლელობის პირობებში). ამავე დროს, ტყვიისა და სტრონციუმის სულფატინალექთა გადასვლა კარბონატში პრაქტიკულად კიდევ სავსებით მისაღებ სიღი-დებს იძლევა (100% და 97%).

თუ Pb, Ba და Sr-ის სულფატ ნალექთა კარბონატში გადასაყანიდ აღებული იქნება $0,1 \text{ N } Na_2CO_3$ -ის ხსნარის 10 მლ, რაც (CO_3^{2-})-თვის შეაღგენს $5,0 \cdot 10^{-4}$ მოლს (ამ კონცენტრაციის სოდის ხსნარი შეიძლება მთლიანად დაიონებულად ჩაითვალოს) და ამ რიცხვითს მნიშვნელობას ჩაესვამთ ზემომოყვანილ ტოლობაში, მივიღებთ ხსნარში გადასულ სულფატ-იონის კონცენტრაციას და, მაშა-სადამე, სათანადო კატიონისას, რადგანაც ბინარული ელექტროლიტის შემთხვევაში (Me^{+}) = (SO_4^{2-}) : $\frac{(SO_4^{2-})}{5,0 \cdot 10^{-4}} = 0,52 \cdot 10^{-2}$, $(SO_4^{2-}) = 2,5 \cdot 10^{-6}$ (და, მა-

შასადამე, Ba გადასული კარბონატში): $\frac{(SO_4^{2-})}{5,0 \cdot 10^{-4}} = 2,0 \cdot 10^5$, $(SO_4^{2-}) = 1,0 \cdot 10^{-2}$ (St გადასული კარბონატში). ($PbSO_4 \rightarrow PbCO_3$ -ში) გადასელა პრაქტიკულად მთლიანი იქნება. მართლაც, უკუპროცესისათვის: $[PbCO_3] + [SO_4^{2-}] \rightarrow [PbSO_4] + CO_3^{2-}$, კონსტანტას ექნება მნიშვნელობა $1:3,03 \cdot 10^4 = 3,0 \cdot 10^{-5}$, ე. ი. ამდენ-ჯერ ნაკლები ტყვია რჩება $PbSO_4$ -ის სახით, ვინერ გადადის $PbCO_3$ -ში. სო-დის $0,1 \text{ M}$ კონცენტრაციის შემთხვევაშიც კი (Ba^{+}) = $0,5 \cdot 10^{-5}$ (კონცენტრაცია კარბონატ-ნალექში გადასულ ბარიუმისა), რაც ნაკლებია ბარიუმის ქრომატის ხსნადობის ნამრავლის მნიშვნელობის მისაღწევად ($LiBaCrO_4 = 1,26 \cdot 10^{-5}$)*.

ამნარიად, სულფატ-ნალექების სოდის ხსნარით დამტბავებისას Na_2SO_4 -ის თანაობით, Pb და Sr—გადაგვევს კარბონატში. Ba-კი ამ პირობებში გადასვლას პრაქტიკულად არ განიცეს, რჩება რა $BaSO_4$ -ის სახით, მიღებული ტყვიისა და სტრონციუმის კარბონატების ძმარმეავათი დამტბავებით Pb და Sr გადაგვევს ხსნარში, სადაც ტყვიის აღმოჩენა ხდება ჩვეულებრივი წესით.

სტრონციუმის ტყვიისაგან დასაცილებლად ჩვენ ვისარგებლეთ ტყვიის იოდატის გაცილებით ნაკლები ხსნადობით სტრონციუმის იოდატთან შედარებით.

$$LpPb(JO_3)_2 = 1,4 \cdot 10^{-13}, LpSr(JO_3)_2 \text{ არ არის ცნობილი} **.$$

ტყვიის იოდატის სახით მოცილების შემდეგ, სავსებით გამჭვირვალე ფილტრატში წარმოებს სტრონციუმის აღმოჩენა— $SrSO_4$ -ის სახით. თუ დარჩენილ ბარიუმის სულფატის ნალექს დავამუშავებთ სოდის მაგარი ხსნარით, მაგ., 2 M , რაც 10 ml ხსნარისათვის შეაღგენს $2,0 \cdot 10^{-2}$ მოლს, და .ჩავსებმთ

* საჭიროა აღვინშოთ, რომ ზემოთ მოყვანილი გამოთვლები საორიენტაციით მნიშვნელობისაა. თუ უფრო მეტი მსჯელობას გავყენოთ, ადგილი ექნება მოყვანილი სიდიდეებიდან ნაწილობრივ გადახრას, რაც გამოწეული იქნება პიღროლინის შედეგად ხსნადობის გადადებით, უკეთ ხსნადი ნალექის გაელენიდ ნაკლებად ხსნადზე, უკანასკნელის ხსნადობის შემცირების მხრივ.

** $Sr(IO_3)_2$ -ის შედარებით მეტი ხსნადობა წინასწარი ცდებით იქნა ნახული.




ამ მნიშვნელობას ზემოყვანილ წონასწორულ ტოლობაში, გადატარდება: $\frac{(\text{SO}_4^{2-})}{2,0 \cdot 10^{-2}} = 0,52 \cdot 10^{-2}$; აქედან $(\text{SO}_4^{2-}) = 1,14 \cdot 10^{-4}$, და, მაშასადამე, ასეთივე სიღილით გამოიხატება BaCO_3 -დან ხსნარში გადასული (Ba^{2+})-ის კონცენტრაცია ($\text{dm}^3\text{მგვარი}$ გახსნის შემდეგ). თუ სიღილით BaSO_4 -ის დამტავება ორჯერ იქნა ჩატარებული, ცხადია, BaCO_3 -ში გადასვლის სიღილე სათანადოდ გაიზრდება.

ძმარმეული ხსნარში Ba^{2+} -ის აღმოჩენა ხდება ჩვეულებრივი გზით. თუ საკვლევი ხსნარი შეიცავს Hg_2^{2+} -ს, შეიძლება აღნიშნულ კატიონებთან ერთად უკანასკნელის აღმოჩენაც. SO_4^{2-} -ის მოქმედებით იღებება აგრეთვე Hg_2^{2+} ; Hg_2SO_4 -ის სახით ($L_s = 1,6 \cdot 10^{-2}$), თუ მისი კონცენტრაცია ხსნარში ძლიერ მცირე არ არის. გამოყოფილ Hg_2SO_4 -ის ნალექშე ამონიუმის ჰიდროფანგის მოქმედებით შეიძლება ჩვეულებრივი გზით აღმოჩენილ იქნას Hg_2^{2+} .

ვინაიდან Pb , Ba , Sr -ის აღმოჩენის აღნიშნულ მსვლელობას ხელს უშლის Hg_2^{2+} (და ნაწილობრივ Ag^{+}), საჭიროა წინასწარ მოცილება (თუ აღმოჩენილ იქნა), რაც შეიძლება განხორციელებულ იქნას ორგვარიდ:

1. სპილენძის მოქმედებით (ბურბუშელის სახით) Hg^{2+} -ზე ადგილი აქვს



კონსტანტა ამ წონასწორული რეაქციებისა საქმაოდ დიდია. მართლაც, მათი ნორმალური პოტენციალებიდან გამომდინარე ($\text{წყალბ. } \text{შედ.}$)—ვლებულობთ K -ის შემდეგ მნიშვნელობებს: $E_0 2\text{Hg}/\text{Hg}_2^{2+} = 0,8$, $E_0 \text{Cu}/\text{Cu}^{2+} = 0,348$, $E_0 \text{Ag}/\text{Ag}^{+} =$

$= 0, 81$. აქედან, პირველი რეაქციისათვის: $\text{LgK} = \frac{(0,8 - 0,348)2}{0,058} = 15,5$; და

$K = 10^{15,5}$ მეორე რეაქციისათვის: $\text{LgK} = \frac{(0,81 - 0,348)2}{0,058} = 15,9$; და $K = 10^{15,9}$,

კონსტანტის ასეთი სიღილეები აპირობებს პროცესის მარცხნიდან მარჯვნივ პროექტულად 100% -ით ჭარბართავს, რაც ნიშნავს Hg_2^{2+} და Ag^{+} სრულ გამოყოფას.

2. თუ Ag^{+} არ არის, Hg^{2+} -ის მოცილება შეიძლება შემდეგნაირადაც: წყალბადზეგნებისა და გოგირდმეუების მოქმედებისას, გაცხელებით, Hg^{2+} -ის შენართობი შეიძლება გადაყანილ იქნას HgSO_4 -ში. უკანასკნელის სახით კი (როგორც კარგად ხსნადის) აღფილად შეიძლება მოცილებულ იქნას Pb , Ba და Sr -ის სულფატ ნალექებისაგან.

თუ საკვლევი ხსნარი შეიცავს კალციუმს შედარებით დიდი რაოდენობით, შესაძლოა SO_4^{2-} -ის მოქმედებით მისი CaSO_4 -ის სახით გამოყოფა ხევა კატიონებთან ერთად. მაგრამ ეს ტყვიის, ბარიუმისა და სტრონციუმის შემდეგი აღმოჩენის მსვლელობაში დაბრკოლებას არ იშვევს.

მოყვანილი თეორიული მოსაზრებებით ისახება წილადური აღმოჩენის პრაქტიკული მსვლელობა.

აღმოჩენის მსვლელობა

მინისტრის მიერაცხვა
გეგმითურისა
A. საკვლევი ხსნარი შეიცავს Hg⁺⁺-ს

I ვარიანტი: საკვლევი ხსნარის ნაწილს (0,5-1 მლ) სინჯარაში უმატებენ Na₂SO₄-ის ხსნარს სრულ დალექვამდე. გაცხელების შემდეგ დეკანტაციით გა-ჩეცილ ნალექს უმატებენ NH₄OH ის (10%) ხსნარის რამდენიმე წვეთს. ნა-ლექის გაშავება მიგვითოთებს Hg⁺⁺-ის არსებობაზე. უკანასკნელის აღმოჩენის შემთხვევაში, მის მოსაცილებლად ძირითად საკვლევ ხსნარს (3—5 მლ.) სინჯა-რაში დაემატება სპილენძის რამდენიმე ბურბუშელა; გაცხელებისა და კარგად შენჯლრების შემდეგ იფილტრება (შეიძლება პირდაპირ ხსნარის გადმოსხმაც). ფილ-ტრატში კი შეიძლება Pb,Ba,Sr-ის აღმოჩენა ქვემოთ აღწერილ B-ს მიხედვით.

II ვარიანტი: საკვლევ ხსნარს (2—5 მილ.) უმატებენ Na₂SO₄-ს მცირე-სიჭარებით; ადულებამდე გაცხელების შემდეგ სითხის ნაწილი შეწონილი ნალე-ქით გადაიტანება მეორე სინჯარაში, სადაც მასზე მოქმედებენ NH₄OH-ის რა-მდენიმე წვეთით. ნალექის გაშავების შემთხვევებში, რაც მოშომბს Hg⁺⁺-ის არსებობას საკვლევ ხსნარში, პირველ სინჯარაში დარჩენილ მთავარ ნალექს ემატება 0,5 მლ-მდე H₂SO₄ (1:3) და რამდენიმე წვეთი H₂O₂ (30%), რის შემდეგ აცხელებენ. სითხეს გადმოისხმენ ნალექიდან და ორჯერ გარეცხავენ დეკანტაციით ცხელი წყლით, რითაც ხდება Hg⁺⁺-ის, HgSO₄-ის სახით მო-ცილება. დარჩენილი ნალექი კი შეიძლება შემდეგ დამუშავებულ იქნას ისე, როგორც ქვემოთ (B) არის აღნიშნული.

B. საკვლევი ხსნარი არ შეიცავს Hg⁺⁺

საკვლევ ხსნარზე სინჯარაში (5—10 მლ-მდე) მოქმედებენ Na₂SO₄-ის ხსნა-რით სრულ დალექვამდე და აცხელებენ ადულებამდე. გამჭვირვალე სითხეს გად-მოასხმენ ნალექიდან და უკანასკნელს ერთხელ გარეცხენ დეკანტაციით ცხელი წყლით. ნალექს დაუმატებენ 0,5 მლ. Na₂SO₄-ის 1 M ხსნარს და 10—15 მლ 1 M Na₂CO₃-ის ხსნარს, რის შემდეგ აცხელებენ ადულებამდე ენერგიული შენ-ჯლრევით. სითხეს გადმოწურავენ დამწდარი ნალექიდან. ნალექს გარეცხენ დე-განტაციით ცხელი წყლით. ნალექს სინჯაში (PbCO₃, SrCO₃) ხსნიან მარ-მეავაში (~2 მლ) შენჯლრევით და ფილტრავენ მკვრივ ფილტრში. ფილტრატს ყოფენ ორ ნაწილად. ერთ ნაწილში ხდება Pb⁺⁺-ის აღმოჩენა ჩვეულებრივი წე-სით (CrO₄²⁻-ის მოქმედებით).

Sr

თუ Pb⁺⁺ აღმოჩენილ იქნა, ფილტრატის მეორე ნაწილშე მოქმედებენ KJ₂O₃-ის ხსნარით ნალექის გამოყოფის შეწყვეტამდე; აცხელებენ —სწრაფად ხდება ნალექის კოაგულირება და დაწყდომა Pb(JO₃)₂. ფილტრავენ. გამჭვირვალე ფილ-ტრში წარმოებს Sr⁺⁺-ის აღმოჩენა. ამისათვის უმატებენ (NH₄)₂ SO₄-ს ფხვნილის სახით ან თაბაშირის ნაჯერ ხსნარს და აცხელებენ; ოთორი კრისტალური ნალე-ქის ან სიმღვრივის წარმოქმნა მაჩვენებელი იქნება სტრონციუმის არსებობისა.



Ba..

CH_3COOH -ის მოქმედების შემდეგ დარჩენილ BaSO_4 -ის ნალექს (ინჟენი Pb^{++} -ის აღმოჩენა) უმატებენ $2M \text{Na}_2\text{CO}_3$ -ის 2—3 მლ.-ს და აცხელებენ ალულებამდე. სითხეს ნალექიდან გაღმოსახამენ მცირე მკვრივ ფილტრზე, რომელიც წინასწარ ცხელი წყლით არის ჩარეცხილი. დარჩენილ ნალექს სინჯარაში დაუმატებენ განმეორებით Na_2CO_3 -ის ხსნარს (იმავე რაოდენობით) და აცხელებენ ალულებამდე. ფილტრავენ იმავე ფილტრზე. ნალექს ერთხელ გარეცხენ ცხელი წყლით, რის შემდეგ უმატებენ $2M$ ძმარმჟავის 2—3 მლ.-ს; შეანჯღრევენ, გაფილტრავენ ფილტრზე, რომელზედაც დარჩენილია წინათ გადმოსხმის დროს ნალექის ნაწილი (BaCO_3). ჩარეცხავენ მცირე რაოდენობის (2 M) ცხელი წყლით. ფილტრატში Ba^{++} -ის აღმოჩენა ხდება CrO_4^{2-} ან $\text{Cr}_2\text{O}_7^{2-}$ -ის მოქმედებით. თუ ტყვიის შედარებით დიდი რაოდენობაა საკვლევ ხსნარში, შესაძლოა ნაწილი დარჩეს PbSO_4 -ის სახით, BaSO_4 -თან ერთად და BaSO_4 -ის ნალექის შემდგომი დამუშავებისას გადავიდეს ხსნარში და Ba^{++} -ის აღმოჩენისას შეცდომაში შეგვიყვანოს. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საჭირო PbSO_4 -ის მთლიანად მოცილება, რისთვისაც უმჯობესია მოვიქცეთ შემდეგნაირად: Na_2CO_3 -ის ხსნარით მოქმედების შემდეგ დარჩენილ ბარიუმის სულფატის ნალექს უმატებენ 15% . $\text{CH}_3\text{COONH}_4$ -ის 1 მლ.-ს, აცხელებენ და სითხეს გაღმოსახამენ ნალექიდან. ნალექს ერთხელ გარეცხავენ დეკანტაციით ცხელი წყლით (ამ პირობებში BaSO_4 -თან კიდევ დარჩენილი PbSO_4 მთლიანად გადადის ხსნარში ტყვიის ფუძოვანი აცეტატის სახით). დარჩენილ BaSO_4 -ის ნალექზე მსვლელობას ატარებენ ისე, როგორც ზემოთ არის აღნერილი (იხ. Ba^{++} -ის აღმოჩენა).

შენიშვნა: თუ Hg^{++} -ის მთცილება მეორე გარიანტით წარმოებდა, დარჩენილ სულფატ-ნალექებს ამუშავებენ Na_2SO_4 და Na_2CO_3 -ის ხსნარით და მსვლელობას აწარმოებენ B^- -ში მოვანილი მსვლელობის მიხედვით.

გრძნობიერება: ტყვიისათვის 2 მგ.—1 მლ.-ში

ბარიუმისათვის 3—5 მგ. ”

სტრონციუმისათვის 5—7 მგ. ”

ვერცხლისწყლისათვის (1) 6 მგ. ”

აღმოჩენის ქრონომეტრაჟი: 15—17 წუთი.

} სითხის საბოლოოდ
5 მლ-მდე განხავი-
ბისას.

დასკვნა

1. შესაძლებელია Pb^{++} , Ba^{++} და Sr^{++} -ის წილადური აღმოჩენა. ერთდროულად აღმოჩენის მსვლელობასთან დაკავშირებით ხდება Hg^{++} -ის აღმოჩენაც.
2. დამუშავებული და აღწერილია აღმოჩენის მსვლელობა და გრძნობიერება.
3. აღმოჩენის ქრონომეტრაჟი შეადგენს 15—17 წუთს (Hg^{++} -ის ჩათვლით).

ლიტერატურა

1. ნ. ა. ტანანაევი, ანალიზური ქიმია: გამ. „ტექნიკა და შრომა“, 1939 წ. გვ. 125.
2. Н. А. Тананаев, Дробные реакции кат. ац-за (1938), Изд. УИИ. Свердловск.
3. Ж. Хим. пр., 939 (1931).

Н. А. Тананаев, В. Л. Хухия

02.11.35 120
20230101033

Дробное открытие Ba⁺⁺, Sr⁺⁺ Pb⁺⁺ и Hg₂⁺⁺

(Резюме)

Из раствора, содержащего все катионы, действием серной кислоты осаждаются только свинец, барий и стронций (закисная ртуть и отчасти Ag., способное образовать также нерастворимый сульфат, удаляется предварительно действием медных стружек—константа реакции $K=10^{15,5}$ и $10^{15,9}$).

При обработке полученных сульфатов 0,1 М раствором соды в присутствии определенного количества сульфат-иона (10-кратного по отношению к карбонат-иону), сульфаты свинца и стронция практически полностью переходят в карбонаты. Сульфат бария остается неизменным.

Карбонаты свинца и стронция растворяются в уксусной кислоте. В части фильтрата обычным способом открывается свинец. Из другой части фильтрата удаляют свинец иодатом калия (при нагревании) и в фильтрате открывают стронций.

Сульфат бария нагреванием с концентрированным раствором соды переводится в карбонат и после растворения в уксусной кислоте открывается хроматом.

В случае присутствия сравнительно значительного количества Hg₂⁺⁺, при описанном ходе открытия, последняя также может выпасть в осадок в виде сульфата ртути (1), открытие которого возможно попутно действием гидрата аммония.

Приводится ход открытия с установлением чувствительности и хронометража.

ვ. ხუსია, პ. შელება

მაგნანუმის თანდალექვის უსახებ სპილენძის სულფიდთან

ცნობილია, რომ ქიმიურ ანალიზში, ამათუმიმ კატიონების სულფიდ ნალექების სახით გამოყოფას და უკანასკნელის მეტა და ტუტე არისაღმი დამოკიდებულებას ემყარება დაცილება და შემდეგ მათი განსაზღვრა თვისებითს ან რაოდენობითს ანალიზში. ძირითადად ეს უდევს საფუძვლად თვისებითი ანალიზის კლასიკური მეთოდის სისტემატურ მსვლელობას. მოელმა რიგმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ლითონთა სულფიდ-ნალექები, მათი დალექვისა და შემდეგ დამუშავების პროცესში იმისდამიხედვით, თუ რა პირობებში ხდება მათი დალექვა (სხვა კატიონების თანაობა, ტემპერატურა, მეტავას კონცენტრაცია და სხვა) მნიშვნელოვნად სცვლის წარმოქმნილი ნალექის ბუნებას. გარდა ამისა, უფრო საყურადღებოა, რომ მთელ რიგ შემთხვევაში ლითონთა სულფიდ-ნალექებთან ერთად გადალის დალექვის პროცესში ისეთი კატიონები, რომელთა სულფიდნერთი მოცემულ პირობებში თავისითაგად ხსნადია — აღგილი აქვს აშკარად გამოხატულ თანდალექვის მოვლენას. აღნიშნული მოვლენა ჰქმნის დიდ უხერხულობას მათი ანალიზურად დამუშავების პროცესში და არის მიზეზი ბუნდოვანი, არა მეტით, ქიმიოანალიზური შედეგებისა, რაც იწვევს მუშაობის გართულებას.

ჩაიმე ზოგადი კანონზომიერების დადგენა, სულფიდნალექთა თანდალექვის მოვლენისათვის, ჯერჯერობით შეუძლებელი ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტული მონაცემები ამ საკითხზე საკმაოდ განსაზღვრულია. შედარებით საფუძვლიანად შესწავლილად შეიძლება ჩაითვალოს რენის თანდალექვა, სპილენძის სულფიდთან ჩატარებული Böttger და Kruschke-¹ მიერ, რომლებმაც დაადგინეს რენის მნიშვნელოვანი რაოდენობის თანდალექვა სპილენძის სულფიდთან. შემდეგში, აღნიშნული ფაქტი სხვადასხვა ვარიაციაში დაადასტური გოლოვატიძე². Feigl-ის³ მიერ⁴ შესწავლილ იქნა მანგანუმის (II) თანდალექვა სპილენძის სულფიდის სახით დალექვისას, მანგანუმის —ნიკელის სულფიდთან, მანგანუმის —კალდიუმის სულფიდთან, უკანასკნელის —ვერცხლის წყლის სულფიდთან და სხვა. მიღებული შედეგების შესახებაც ლიტერატურაში ერთიმეორის საწი-

ნააღმდეგო აზრი არსებობს^{4,5}. რაც შეეხება თანდალექვის მოვლენის მიზანზე მარტინ საკითხს (საერთოდ და კერძოდ სულფიდ-ნალექებისას), მისი თეორიული საფუძვლების შესახებ, მხოლოდ პიპოთეზები არსებობს. მეთოდურად გამართული სათანადო ემპირიული მონაცემები იძლევა საშუალებას ამ მხრივ ზოგიერთი ფაქტის დადგენისას.

ჩვენი მუშაობის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა მანგანუმის თანდალექვა სპილენზის სულფიდის სახით დალექვისას სხვადასხვა პირობებში და რკინისა და თუთის გავლენა იმავე წყვილისათვის.

ეპსერიოზეთული ნაშილი

ცდებისათვის გამოყენებული ყველა მარილი აღებული იყო სულფატების სახით (ქიმიურად სუფთა). რამდენიმეჯერ გადაკრისტალების შედეგ მზადდებოდა სათანადო კონცენტრაციის სსნარები. უმეტეს შემთხვევაში შემჟავება წარმოებდა გასუფთავებული გოგირდმჟავათი. დალექვა ხდებოდა გასუფთავებული და შემოწმებული გოგირდწყალბადით. ყოველი ცდის დროს დაკვირვება წარმოებდა ტემპერატურაზე (15—18°-ის ფარგლებში) და გოგირდწყალბადის გატარების სიჩქარეზე (140—150 ბუბტი წუთში). დალექვის ხანგრძლიობა საშუალოდ უდრიდა 40—45 წუთს. შემოწმება ყოველთვის ხდებოდა სრულ დალექვაზე. დალექილი სულფიდების დამუშავება წარმოებდა ჩვეულებრივი წესით. გარეცხვას გახდენდით გოგირდწყალბადიანი წყლით, რომელიც შემჟავებული იყო 0,1N, 0,2N, 0,5N, 1N გოგირდმჟავათი სხვადასხვა ვარიაციისდა მიხედვით, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი მეავა არე გვქონდა აღებული დასალექი პირობებისათვის. ჩარეცხვას ვაწარმოებდით მანგანუმ (II) იონის სრულ მოცილებამდე შემოწმება სრულ ჩარეცხვაზე წარმოებდა Marschal-ის მეთოდით. დამახასიათებელი შეფერვის მიუღებლობის შემთხვევაში, რაც სრული ჩარეცხვის მაჩვენებლად ითვლებოდა, ხელოვნური და შეგვერნდა მინიმალური რაოდენობა მანგანუმისა (II), რის შედეგადაც ყველა შემთხვევაში ვღებულობდით დამხასიათებელ შეფერვას (საკონტროლო ცდა). ჩასარეცხად იხარჯებოდა 800—1300 მლ ჩამრეცხი სითხე, იმისდამიხედვით, თუ როგორი იყო აღებულ მარილთა კონცენტრაცია სსნარში. სულფიდნალექის გახსნას გახდენდით კონცენტრიულ პზოტმჟავაში, რომელსაც ვაღულებდით მცირე მოცულობამდე, ვუმატებდით 10 მლ. მაგარ გოგირდმჟავას, ვაცხელებდით გოგირდმჟავას ანძიდრიდის ბოლოს გამოჩენამდე; სსნარის წყლით ვაზავების შედეგ, ვაწარმოებდით თვისებითს ცდას თანდალექილ მანგანუმზე იმავე პერსულთარის მეთოდით, ჯერ წვეთური რეაქციით, ხოლო შედეგ მოელ ხსნარშე. ყველა შემთხვევაში ტარდებოდა ბრმა და საკონტროლო ცდა. მუშაობის პირველი ნაწილი ჩატარებულ იქნა მარტო სპილენზისა და მანგანუმის (II) თანაობით მარილებისა და მეავის სხვადასხვა კონცენტრაციაზე, რის მიხედვითაც ვცვლიდით ჩამრეცხი სითხის მეავიანობას. ორი ცდა ჩატარებულ იქნა მარილმჟავა არეში. ცალკეული ცდები ტარდებოდა 2—3-ჯერ. მიღებული შედეგები მოყვანილია 1-ლ ცხრილში.

რიც.	აღებული ნივთიერე- ბები	გარისი კენტ N-ზე	სითბის მო- ცულობა მი- ლილიტები	აღებული მედი	შეავს კუნ- დას- ლენტ-სითხე N-ზე	შეავს კუნ- დას- ლენტ-სითხე N-ზე	თანდალე- ქვი განა- ცხოვრი
1	CuSO ₄ MnSO ₄	1 1	100	H ₂ SO ₄	1	1	არ არის
2	CuSO ₄ MnSO ₄	0,5 0,5	"	"	0,5	0,5	"
3	CuSO ₄ MnSO ₄	0,5 0,5	"	"	0,5	0,2	"
4	CuSO ₄ MnSO ₄	0,5 0,1	"	"	0,5	0,2	"
5	CuSO ₄ MnSO ₄	0,1 0,5	"	"	0,5	0,2	"
6	CuSO ₄ MnSO ₄	0,1 1	"	"	0,1	0,1	"
7	CuSO ₄ MnSO ₄	0,1 2	"	"	0,1	0,1	"
8	CuSO ₄ MnSO ₄	0,05 1	"	"	0,1	0,1	"
9	CuSO ₄ MnSO ₄	0,05 2	"	"	0,1	0,1	"
10	CuSO ₄ MnSO ₄	0,1 0,5	"	HCl	0,5	0,2	"
11	CuSO ₄ MnSO ₄	0,25 0,5	"	"	0,5	0,2	"

ამის შემდეგ ჩატარებულ იქნა რამდენიმე ცდა იმავე ნივთიერებებთან რკინის განსახლებული რაოდენობის შეტანით, აღებულ მარილთა და შეავის უფრო დაბალი კონცენტრაციის პირობებში.

მიღებული შედეგები მოყვანილია მე-2 ცხრილში.

შემდეგი ცდები ჩატარებულ იქნა თუთიის თანაობით. სპილენძის სულფატის კონცენტრაცია ყველა შემთხვევაში უცვლელი რჩებოდა (0,1 N), ხოლო მანგანუმის და თუთიის სულფატის კონცენტრაციას 0,05—1 N ფარგლებში ვცვლილით. მე-3 ცხრილი ასახავს ამ პირობებში მიღებული ცდების შედეგებს.

მიღებული ექსპერიმენტული შედეგებიდან ჩანს, რომ ჩვენ მიერ აღებული პირობების არცერთ შემთხვევაში არ ჰქონია აღვილი მანგანუმის თანდალექვას.



№№ რიგ.	ალბული ნივთიერე- ბები	შარილთა კონცენტრ. N-ში	სიმხის მო- ვლილია გილობრი- ტურები	ალბული მეტა	მუვას კონ- ცენტრაც. დასალექ्ज. სი- თხეში N-ში	მუვას კონ- ცენტრაც. საძრ. სი- თხეში N-ში	თანდალუ- ქიანი მანგა- ნუმი
1	CuSO ₄ MnSO ₄	0,0312 0,0179	100	H ₂ SO ₄	0,1	0,1	არ არის
2	CuSO ₄ MnSO ₄ FeSO ₄	0,0312 0,0179 0,018	100	"	0,1	0,1	"
3	CuSO ₄ MnSO ₄ FeSO ₄	0,0624 0,0179 0,018	100	"	0,1	0,1	"

ବ୍ୟାକୁଳିତ ନଂ ୩

№№	აღებული ნივთიერებები	მარილია კონცენტრა- ცია N-ზე	სითბოს მოლუ- ლადა მიღლ- ლილობები	აღებული მუჟავა	მუჟავას კონ- ცენტრის გან- დასალექს სითბოსი N-ზე	მუჟავას კონ- ცენტრი გან- დასალექს სითბოსი N-ზე	თანამდე- კოლი განვი- ნერი
1	CuSO_4 MnSO_4 ZnSO_4	0,1 0,5 0,5	100	H_2SO_4	0,1	0,1	არ არის
2	CuSO_4 MnSO_4 ZnSO_4	0,1 0,2 0,2	100	"	0,1	0,1	"
3	CuSO_4 MuSO_4 ZnSO_4	0,1 0,1 0,1	100	"	0,1	0,1	"
4	CuSO_4 MnSO_4 ZnSO_4	0,1 0,05 0,05	100	"	0,1	0,1	"
5	CuSO_4 MnSO_4 ZnSO_4	0,1 0,5 0,2	100	"	0,1	0,1	"
6	CuSO_4 MnSO_4 ZnSO_4	0,1 0,5 0,1	100	"	0,1	0,1	"
7	CuSO_4 MnSO_4 ZnSO_4	0,1 1 0,5	100	"	0,1	0,1	"
8	CuSO_4 MnSO_4 ZnSO_4	0,1 1 1	100	"	0,1	0,1	"

დასკვნა

მარკოვანული
გიგანტური მიმართ

შესწავლილ იქნა მანგანუმის თანდალექვა სპილენძის სულფიდთან, მეტაზის და ალებული ნივთიერებების სხვადასხვა კონცენტრაციის პირობებში. რკინა და თუთია გავლენას არ ახდენს მანგანუმის თანდალექვაზე სპილენძის სულფიდთან. დადგენილია, რომ ყველა ალებულ პირობებში მანგანუმის თანდალექვას ადგილი არა აქვს.

ლიტერატურა

1. Ztschr. f. anal. Chem., 73, (1928), 162.
2. Ж. прикл. Х. 10,12 (1937) 9118.
3. Ztschr. f. anal. Chem., LXV (1924), 25.
4. ტაბანავი, ანალიზური ქიმია, (1939), 129.

В. Л. Хухия, К. Л. Уклеба.

О соосаждении марганца с сульфидом меди

(Р е з ю м е)

Было изучено соосаждение марганца с сульфидом меди в условиях переменной концентрации кислоты и взятых веществ. Железо и цинк не оказывают влияния на соосаждение марганца с сульфидом цинка. Установлено, что в этих условиях опыта соосаждение марганца не происходит.

ნ. ციცელის ი. კიბაჩევი

ციცელის ზოგიერთი ციტრუსოვანი მცენარის ნაყოფის ანალიზი და მათგი „C“ ვიტამინი

საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული ურთადღება ექცევა მშრომელი ხალ-
ხის ჯანმრთელობის დაცვას და ამ მიზნის მისაღწევად, სხვა საშუალებათა შო-
რის, კიტამინების პრობლემის შესწავლას თვალსაჩინო აღილი უკავია. ამ მიზ-
ნით დაარსებულია საკვლევო-სამეცნიერო ონსტიტუტები, საცდელი სადგურები
და საკვლევო ლაბორატორიები; ამ საკითხისაღმი მიძღვნილია მრავალი შრომა
და მოწვეულია როგორც ადგილობრივი, ისე საკავშირო მნიშვნელობის კონფე-
რენციები; აგრეთვე საკავშირო ძეგლების სესიებზე დამუშავებულია ვიტამინე-
ბის ირგვლივ სხვადასხვა საკითხი; ამის გარშემო საკვლევო ინსტიტუტებსა და
ლაბორატორიებში გაცხოველებული მუშაობა წარმოებს, რის შედეგადაც
მრავალი მილწევა გვაქვს. ჩვენს თვალუწვდენელ ტერიტორიაზე შესწავლილია
სხვადასხვა სახის როგორც ველური, ისე კულტურული მცენარეები მათში
ვიტამინების შეცულობის მხრივ. ყოველწლიურად ვლინდებოდა ახალახალი
ველური მცენარეები, რომლებშიაც აღმოჩენილია საკმაო რაოდენობით შეცუ-
ლობა სხვადასხვა ვიტამინისა. წარმოებს ინტენსიური კვლევა ვიტამინების ქი-
მიური ბუნების შესწავლისა და მათი სინთეზირებისათვის. ცნობილია, რომ მრა-
ვალ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში დამუშავებული საკითხი მათ კედლებს
გასცილდა და სამრეწველო ხასიათი მიიღო. ამრიგად, თეორიულად შესწავ-
ლილმა საკითხებმა პროცეს პრაგტიკული გამოყენება. ჩვენი სოციალისტური ქვეყ-
ნის ინტენსიური ზრდა ყოველდღიურად იყენებს მოთხოვნილებას ვიტამინებზე
და უსახავს მას ახალ პერსპექტივებს. მაგალითისათვის ავილოთ ჩვენი ქვეყნის
ჩრდილოეთი მხარე—არტიკა მრავალი ექსპედიციით, სადაც ხანგრძლივად
იმართება სამეცნიერო კვლევა-ძიება და სადაც ვიტამინების კონცენტრატების
გარეშე წარმოუდგენელია ნორმალური ცხოვრება. ვიტამინების საკითხი მჭიდრო-
და დაკავშირებული აღმიანის მოლგაშეობის სხვადასხვა სფეროსთან, მაგალი-
თად, მას აქვს კავშირი მედიცინასთან, აგრძელიმიასთან, სოფლის მეურნეობას-
თან, მცენარეებისათვის და სხვა დარგებთან. უკვე დამტკიცებულია, რომ ვი-
ტამინების გარეშე წარმოუდგენელია სიცოცხლის ნორმალური პრაცესები მიმ-

დინარეობდეს ორგანიზმი, რადგან ისინი წარმოადგენენ მისოვის ისეთი ცენტრალული ნივთიერებას, როგორიცაა ცენტრი, ცილა და ნახშირწყლები, თუმცა მასთან შედარებით ვიტამინების ძალიან მცირე რაოდენობაა საჭირო, მაგალითად, რამდენიმე მილიგრამი. დამტკიცებულია, რომ კვების დროს ვიტამინების ხანგრძლივი ნაკლებობა იწვევს ორგანიზმის დაავადებას, პირავიტამინოზს, ხოლო სრული გამოთიშვა უფრო მძიმე ავადმყოფობას — ვიტამინოზს, რომელიც ნშირად იწვევს ორგანიზმის სიკვდილს. ვიტამინებზე წარმოდგენა ჯერ კიდევ იმ დროს შეიქმნა, როდესაც მათი შესწავლის შესახებ რაიმე მეცნიერული ნაშრომიც არ არსებობდა, ხოლო სხვადასხვა გზით დაგროვილი ფაქტიური მასალები მოწმობდნენ მათ არსებობას, მაგალითად: ერთი მხრით, ჰოგიერთა ავადმყოფობის, როგორიცაა ბერიბერი, რახიტი და ცინგა (სურავანდი), გაჩენა კვებასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრით, გაჩენილი ავადმყოფობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ფიზიოლოგიური ექსპერიმენტების წარმოება მთელ რიგ ცხოველებზე სათანადო დასკვნების გამოტანით. დღემდე ცნობილია რამდენიმე ვიტამინი, რომლებსაც აღნიშნავენ ლათინური „A“, „B“, („B₁“ — „B₂“), „C“, „D“, „E“, „H“, „K“ და „P“ ასოებით. ჩვენი მუშაობა დაკავშირებულია ვიტამინ „C“-სთან და ამიტომ მოკლედ შევეხებით მის ისტორიის.

ვიტამინი „C“ დღეს ცნობილია ასკორბინმჟავას სახელით. ამ მჟავას ნაკლებობა ორგანიზმში იწვევს ე. წ. ცინგას ანუ სკორბუტის დაავადებას. სიტყვა სკორბუტი წარმოშობილია ძველი ჰოლანდიური სიტყვისაგან „Scheurtbuik“, რომელიც ნიშნავს დაიარებული პირის ლრეს. შემდეგში ეს სიტყვა ძველმა ავტორებმა გადაალათინურეს „Scorbutus“-ად; სკორბუტი ანუ მთელი ორგანიზმის ლრმად დაავადება.

არსებული ლიტერატურული მასალების მიხედვით, სკორბუტი ანუ ცინგა გით დაავადება ცნობილი იყო XV, XVI და XVII საუკუნეებში. ნაოსნობის განვითარებამ, ზღვებზე ხანგრძლივ მოგზაურობამ შექმნა ამის პირობები. მეზღვაურები, მოკლებულნი ვიტამინ „C“-ს შემცველ საკვებ ნივთიერებებს, მასობრივად ავადდებოდნენ ცინგით (სურავანდი). მაგალითად, 1498 წ. გასკო-დე-გამამ, ე. წ. „კეთილ იმედის“ კონცხის გარშემო მოგზაურობის დროს, ძლივს მოახერხა მოგზაურობის დამთავრება გემზე ცინგის გაჩენის გამო, რის შედეგად ვასკო-დე-გამამ დაკვარგა 160 მეზღვაურიდან 100 კაცი. ხმელეთზე ცინგა უმთავრესად შემჩნეული იყო ციხეებში, ყაზარმებში, თავშესაფარებში და ჩნდებოდა აგრეთვე ოშიანობის დროს. ცნობილია, რომ ინდოეთში ინგლისის ჯარის ნაწილების 30—50%, დაავადდა ცინგით ჩელიგიური რწმენის ნიადაგზე ხორცის უჭმელობით. უკვე XVI საუკუნეში გვხდებით ფაქტებს იმის შესახებ, თუ როგორ იქნა შემთხვევით აღმოჩენილი ცინგის საჭინააღმდეგო საშუალებები. ამის შესახებ ლეგენდაც კი არსებობს: ჰოლანდიის გემი, რომელიც დატვირთული იყო ლიმონითა და მანდარინით, ავარიას განიცდის, რის გამოც დიღხანს ვერ ახერხებს ნაპირზე გამოსვლას და გემში ჩნდება ცინგა. სურათის გამოლევის გამო, გემის ეკიბაზი იძულებული ხდება გამოიკვებოს ლიმონითა და მანდარინით, რასაც მოჰყვება ცინგისაგან განკურნება. გარდა ლეგენდებისა, მოიპოვა მრავა-

ლი უტუუარი დამამტკიცებელი ფაქტიც. 1596 წელს შაქ კირტი ეპისკოპოსი რობდა წმინდა ლავრენტის მღინარეზე. მის გემზე მეზღვაურები ივად გახდნენ ცინგით და, 26 კაცის გამოკლებით, ყველანი განიერნენ ფიჭვის წიწვებისაგან გამონაწლულის მიღების შემდეგ. აგრეთვე, ფიჭვის ასეთ მცურნავ თვისებებზე თავის შრომებში ლაპარაკობს რუსი აკადემიკოსი პეტრე პალასიც (1785 წ.).

მოვანილი ფაქტები ადასტურებენ იმას, რომ ფორთოხალში, ლიმონში, მანდარინშა და ფიჭვის წიწვებში არსებობს ისეთი ნივთიერება, რომელიც კურნავს სურავანდს და რომელიც შემდეგში ალიარებულ იქნა ვიტამინ „C“-დ. XVII საუკუნეში რომ იცნობდნენ ლიმონისა და ფორთოხლის წვნის მცურნავ თვისებებს, იქიდან ჩანს, რომ 1720 წ. ავსტრიის სამხედრო ექიმი კრამერი წერდა თავის შრომაში, რომ ფორთოხლისა და ლიმონის წვენის 3—4 უნცი არჩენს ამ სწორად ავადმყოფობას, ყოველგვარი დახმარების გარეშემყველა ამდაგვარმა და მრავალმა სხვა დაკვირვებამ და ფაქტმა მაშინდელი მცველევარნი მიიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ ცინგის გამომწვევი მიზეზები დაკავშირებულია საკვებ პროდუქტებთან და მათში არსებულ რაღაც ნივთიერებასთან. ასეთივე აზრისაა რუსი პათოლოგი პაშუტინიც, როცა ის ლაპარაკობს ცინგის განმცურნავ ნივთიერებათა თვისებებზე. ის ამ ნივთიერებებს როგორი შედგენილობის ორგანულ ნივთიერებებად თვლის, რომელთა სინთეზირება ადამიანსა და ცხოველს არ შეუძლია. ამიტომ მათმა ოჩგნიზებმა ეს ნივთიერებები გარედან უნდა მიიღონ. ამ ნივთიერების აქტიურობა მეტად ღიღდია და საკვარისია სულ მცირე რაოდენობა, რომ მან გამოიჩინოს თავისი თვისებები. ყველა მაშინდელი მცველეარის დასკვნებმა საფუძველი პოვნა ხოლ სტისა და ფროლი ხის ექსპრიმენტულ ცდებში. ამ მეცნიერებმა პირველად ხელოვნურად გამოიწვიეს ცინგით დაავადება, შემდეგ, ამავე 1912 წელს, კაზიმირ ფუნკმა წამოაყენა პიპოთეზი რამდენიმე ვიტამინის არსებობის შესახებ და მანვე შემოიტანა მეცნიერებაში ტერმინი „ვიტამინი“. ამ ტერმინის შემოტანისათვის ფუნკმა ჰქონდა შემდეგი საფუძველი: ის მუშაობდა ლონდონში ლისტეროვის ინსტიტუტში და ჰყოფდა საფუარისა და ქარისაგან ვიტამინის პრეპარატს, რომელსაც ირკვევდა ქიმიურად. გარდა ამისა, გამოყოფილ გამონაწლულს სინჯავდა ცხოველებზე. 1911 წელს ფუნკმა მიიღო 50 კგრ. ბრინჯის ქარისაგან 0,4 გრ. აქტიური ნივთიერება და 1912 წ. ასეთივე გზით საფუარისაგან, რომლის 4—8 გ. გრ. დოზა მტრედებს იცავდა პოლინევრიტისაგან. კაზიმირ ფუნკმა გამოარკვია მიღებული პრეპარატი და დასკვნა, რომ ეს აქტიური ნივთიერება წარმოადგენს ორგანულ ნაერთს, რომელშიც შედის აზოტი—ამინოჯგუფი. „ვიტა“ ნიშნავს სიცოცხლეს და „ამინი“ ქიმიურ სახელს — NH₃-ის ჯგუფის. მათი შეერთებით მიიღო სიტყვა — „ვიტამინი“, რომელიც კ. ფუნკმა განაზოგადა. შემდეგში გამოირკვა, რომ ასეთი წარმოადგენა ვიტამინებზე სინამდვილეს არ შეეფერება, რადგანაც ბევრი ვიტამინის ქიმიური შედგენილობა არ უბასუხებს მასში აზოტის არსებობას; მიუხედავად ამისა, რადგანაც ფუნკმის მიერ მოცემული ტერმინი სწრაფად გავრცელდა და პოპულარული გახდა, ამიტომ იგი დღესაც შენარჩუნებულია. შემდეგში, ფუნკმის ცდები გაფართოებულ

და გამჭვიობესებულ იქნა. 1913—1915 წწ. ამერიკელმა შეკვლევა დატესტირდა კოლუმბა და ლე ვის მა დამტკიცეს, რომ ცხიმებში არსებობს ცენტრალური ცხიმგამხსნელი ვიტამინი, რომელიც ხელს უშეყობს ზრდას. 1918 წ. დღუში მონაცემის წინადადებით ის ვიტამინი, რომელიც იცავს ორგანიზმს ცინგით დაავადებისაგან, წოდებულ იქნა ვიტამინ „C“-დ. ასეთი ვიტამინი უმთავრესად მოპოვება მცენარეებში და გვხვდება ცხოველთა სამყაროშიც. „C“ ვიტამინის მთავარ შეაროლ ითვლებიან მცენარეები, რომელთა ყველა ნაწილში ის მოიპოვება, ხოლო შედარებით მეტი რაოდენობით ფოთლებსა და ნაყოფში. მცენარეებში ვიტამინ „C“-ს რაოდენობა არ არის მუდმივი, ის ცვალებადობს და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორისაგან. მცენარის სახეობა, ჯიში, ხარისხი, ჰავა, ნიადაგი, ადგილმდებარეობა და მრავალი სხვა ფაქტორი გავლენას ახდენს „C“ ვიტამინის რაოდენობაზე. აგრეთვე დამტკიცებულია, რომ მცენარის ვეგეტაციური პერიოდის ცალქეულ მომენტებში „C“ ვიტამინის რაოდენობა ცვალებადობს. თუ წინათ ვიტამინი „C“ აღმოჩენილი იყო შემოლოდ ზოგიერთ მცენარეში, დღეს ეს რიცხვი მეტად გაზრდილია. ამჟამად ცნობილია ისეთი მცენარეები, რომლებშიც ვიტამინი „C“ მეტი რაოდენობით მოპოვება, ვიდრე წინათ ცნობილ „C“ ვიტამინით მღიდარ მცენარეებში (ლიმონი და ფორთოხალი). ასეთ მცენარეთა რიცხვს ეკუთვნის ასკილი, შავი მოცხარი, პილბილი, კაკალი და სხვ. ძევე მოგვყავს ვ. ნ. ბუკინის მიხედვით მცენარეებში „C“ ვიტამინის გაფრცელების ცხრილი 1-ლა.

ცხრილი 1

100 გრ. ნედლ პორცუქტში მოპოვებული ასკორბინმჟავა („C“ ვიტ.), გამოხატული მილიგრამებში

მ ც ე ნ ა რ ე თ ა პ რ ი დ უ ს ტ ე მ ბ ი

ბ რ ს ტ ნ ე უ ლ ი	ნ ა ყ თ ფ ი
კომბოსტო ფოთლიანი . . . 150	ასკილი (ნაყოფის რბილ ნაწილში) 700—4500
კომბოსტო წითელი თავდაწვეული 100	ასკილი ჩრდ. სახესხვაობა... 2000.ზე მეტი
კომბოსტო კოლრაბი . . . 50—100	ასკილი სამზრეთ. საზესხვაობა 1500.ზე ნაკლები
კომბოსტო ბრიუსელისა . . . 100	აქტინიდია 700—1000
კომბოსტო ყვავილოვანი . . . 66	ფორთოხლის წვენი 66
კომბოსტო თეთრთავდაწვეული სხვადასხვა ჯიშისა . . . 25—66	ლიმონის წვენი 55
ობრაზუშის ფოთოლი . . . 100	მანდარინის წვენი 40—50
ისპანაზი 16—40	ვაშლი ანტონოვესკის ჯიშისა . . . 33
მჟაუნა 12,5—14	ვაშლი ჩრდ. სხვადასხვა ჯიშისა 20—40
სალათა თავიანი 10	ვაშლი სამხ. ჯიშისა 17—50



მ ც ე ნ ა რ ე თ ა პ ა რ დ უ ჭ ტ ე ბ ი

საქართველო
მინისტრის მიერ მიმღები

ბარდა მწვანე	33
ცერცვი მწვანე	20
პილპილი ტკბილი (სხვადასხვა ჯიშისა)	100—400
საშუალო	200
პილპილი მწარე (სხვადასხვა ჯიშისა)	200—300
ფიზალისი წვრილნაყოფიანი	20—66
ფიზალისი მსხვილნაყოფიანი	5
პამილორი (ტომატი სხვადასხვა ჯიშისა)	20—40
საშუალო	30
პამილორი ტომატი (დაბურ. გრუნტი)	17
პირშუშხა	100
პრასა	16,5—33
თავიანი ხახვი (სხვადასხვა ჯიშისა)	2,0—10
ნიორი ნადები	უმნიშვნ.
თალიგამშრა	25
ბოლოკი (სხვადასხვა ჯიშისა).	10—20
თალგამი (სხვადასხვა ჯიშისა)	8—17
ბატატი	17 მეტი
გარტოფილი (ჩვეულებრივი ჯიშისა).	11—17
გარტოფილი ჩრდილოეთ	11 მეტი
გარხალი	8
გოგრა	2,5
რევანდი	11-ზე ნაკლ.
მუხუდი გაღივებული 5-დღიანი	40
ჭვავი გაღივებული	10
სტაფილი	5
საზამთრო	9
კიტრი	8

გაშლი ველური	40—70
მსხალი	დაახლ. 10
კომში	დაახლ. 10
ცირცელი ტყისა, ჩვეულებრივი	46—60
ცირცელი ბუჩქიანი (კოლი-მიდან)	100
ალუბალი	15
ზოთხვი	უმნიშვნ.
ქლიავი	6
შავექლიავი ახალი	5—10
ატამი	12,5—20
გარგარი	3—10
ყურძნის სახესხვაობა	0,43—12
ყურძნი გაფრცელებული ჯიშისა	დაახლ. 3,0
ამურის ყურძნი	დაახ. 10
ლიმონიკი	უმნიშვნ.
ბოოჭეული	უმნ.—7,0
კ ე ნ კ ა	
შავი მოცხარი სხვადასხვა ჯიშისა	100—400
კინკრიუა	50
ბალის მარწყვი სხვადასხვა ჯიშისა	33—66
მარწყვი ტყისა	17
ულო სხვადასხვა ჯიშისა	10—12
ხელშავი	8
მოცეი	6
კეწერა	0
Морощка	25
Голубика	25
მოცხარი დათვისა	20
შროში	12



არაკვებითი ზასიათის მცენარეები

მართველი
გიგანტური

კედარის ფიჭვი	200
წიწვი ნაძვისა, ფიჭვისა	100
ხავსი (<i>Pleurorium schreberi</i>)	0
გვიმრი	0
ხელშავის ფოთოლი	25—50
შავი მოცხარის ფოთოლი	100—200
სტაფილოს ფოჩვი	50
მურა წყალმცენარე (<i>Sargassum confusum</i>) გამხმარი	100

რაც შეეხება „C“ ვიტამინის გაერცელებას ცხოველთა ორგანიზმში, უნდა აღნიშნოთ, რომ ის აქ ნაკლები რაოდენობითაა. „C“ ვიტამინის სინთეზირების უნარი ახასიათებს მხოლოდ ზოგიერთი ცხოველის თრგვანიშმს.

მოგვყავს ცხრილი მე-2 „C“ ვიტამინის შეცულობისა ცხოველთა ორგანიზმის ზოგიერთ ნაწილში.

ცხრილი 2


ცხოველთა პროდუქტები

თირქმლის ზედა ჯირკვალი	66
ღვიძლი	9,3
კუნთები	0,9
ქალის რძე	3,5—7
ძროხის რძე	0,7—2,6
თხის რძე	0,9
ქათმის კვერცხი	0

ვიტამინის ქიმიური ბუნების შესწავლა 1924 წლიდან იწყება, როდესაც ზილვას მიერ ვიტამინ „C“-ში, სხვა თვისებების გარდა, აღმოჩენილ იქნა მისი აღმდეგნელი თვისებებიც—პარალელურად მისი ბიოლოგიური აქტიობისა. შემდეგში სკოტ-ფოგლიენის, რანდუანის, ლეკოკის, ბესსონვის და სხვების დაკვირვებებმა ეს საკითხი წინ წასწია.

ბესსონვის მიერ 1925 წ. მიღებული იყო ნახევრადკრისტალური ნივთიერება, რომლის 2 კ. ს. არჩენდა ზღვის გოჭვებს ცინგისაგან. ქიმიური ბუნების გარკვევისათვის დიდი როლი ითამაშა ს ცენტ-გ ი თ რ გ ი მ, რომელმაც გამოკვლია ქიმიური ბუნება „C“ ვიტამინისა. მან პირველდდ მიმღო ხარის ზედა

ჯირკვლისა, ფორთოხლის წვენისა და კომბოსტოსაგან კრისტალური ჰიდროკარბონი ვიტ. „C“-ი. ელემენტური ანალიზის საფუძველზე გამოყვანილ იქნა ამ ნივთიერების ემპირიული ფორმულა და ეწოდა ჰექსურონმეუავა. მიღებულ ჰექსურონმეუავას ჰქონდა აღმაღვენელი თვისება და ბიოლოგიურად იყო აქტიური; მისი 1 მილიგრ. იცავდა ზღვის გოჭებს ცინგისაგან. ამ საკიონზე მუშაობდნენ სხვა მეცნიერებიც, მაგ.: კინგა, ჰირსტი, რეინოლდი და ტილბანსი. შემდეგში, 1913 წ., სცენტ-გიორგიმ უკვე მის მიერ მიღებულ ნივთიერებას უწოდა ასკორბინმეუავა, რომლის სტრუქტურული ფორმულა გამოყვანილ იქნა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების მიერ, სახელდობრ: მიხელის, ჰირსტის, კარერის და სხვების მიერაც. საბოლოოდ ასკორბინმეუავას ფორმულა დადგენილ იქნა შემდეგი სახისა:




ვიტ. „C“ ანუ ასკორბინმეუავა.

იმავე წელს რეინშტეინისა (შვეიცარია) და ხელერსტის (ინგლისი) მიერ სინთეზირებული იყო ასკორბინმეუავა, რომელიც წარმოადგენს ენდო-ოლს 2 ან 3 კეტო-1 გულონის მეაგისა. ის არ შეიცავს თავისუფალ კარბოქ-სილის ჯგუფს და დაუანგვის დროს ენდიოლური ჯგუფი აღვილად გადადის კეტონურში, როთაც ისნება მისი აღმაღვენელი თვისებები. ქიმიური ბუნების გამორჩევამდე ვიტ. „C“-ს საზღვრავდნენ მხოლოდ ბიოლოგიური მეთოდით, ხოლო ქიმიური ბუნების შესწავლის შემდეგ შესაძლებელი გახდა მისი ქიმიური გზით განსაზღვრა. ეს შეთოდი, სხვადასხვა მეცნიერ-მკვლევარის, მაგალითად, ბესსონოვის, ეგოროვის, ტილმანსის, რეის, ბერჩის, ბუკინის, მარტინის, ბონზინგერის, ეგერის, ეკელენის და სხვების მიერ შესწავლის საფუძველზე დამყარდა.

ასკორბინმეუავა წარმოადგენს თეთრ კრისტალებს, მისი ლილობის ტემპერატურა 189°-ა, მოლეკულური წონა 170, ერთფუძიანი მეაგაა, წყალში ადგილად ისნება, ნაკლებად მდგრადია. სუსტი ტუტის არის ჰაერში ადვილად იუანგება, მეავე არქში შედარებით მდგრადია. მის საყრდადობო თვისებას წარმოადგენს დამეანგველ-აღმაღვენელი თვისება. სხვადასხვა დამეანგველის ქმედების შედეგად რჩი წყალბადის დაკარგვით უკუმცევად დაუანგულ ფორმაში გადადის, ე. ი. დეპიდრო-ასკორბინმეუავაში, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ბიო-



ლოგიური თვისებები—აქტიურია და შეიძლება გადაყვანილ იქნას უფრთხოების ფორმაში—ასკორბინმეუვაში. ძლიერ დამუანგველ და ძლიერ მეუავ არეზი იქანგება არაუკუქცევად დაუანგულ ფორმად, ომელსაც დაკარგული აქვს ბიო-ლოგიური თვისებები, ალდგენა-დაუანგვის პროცესის დროს ხდება გადასცლა ასკორბინმეუვისა ერთი სახიდან მეორეში.



ჩენი მუშაობის მიხანს შეაღენდა საბჭოთა საქართველოს სუბტროპიკული რაიონის ზოგიერთ ციტრუსოვან მცენარეთა ნაყოფში ვიტ. „C“ განსაზღვრა და მასთან ერთად გარკვევა სხვა შემადგენელ ნივთიერებათა შეცულობისა ვიტ. „C“-სთან დამოკიდებულების თვალსაზრისით.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, ვიტ. „C“ გავრცელებულია მცენარეთა სამყაროში. ის მოიპოვა მცენარის სხვადასხვა ნაწილში, მაგალითად: ნაყოფში, ფოთოლში, ბოლქვებში, ქერქში და სხვაგან. ვიტამინებით მდიდარ ხილებს შორის ციტრუსოვან მცენარეთა ნაყოფს თვალსაზრისით ადგილი უკავია. გარდა კვებითი მაჩევენებლებისა, მას ახასიათებს სასიამოვნო გემო და ზომიერად შეესაბამება შაქარსა და მეუკეებს; გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ვიტამინების შეცულობის გამო და ამასთანავე მეტად კარგი სურნელება აქვს. ციტრუსოვან ნაყოფს არა მარტო კვებითი და ხშირად სამკურნალო თვისებები ახასიათებს, არამედ მას იყენებენ სხვა მხრივადაც; გადამუშავებაში შედის არა მარტო მისი გული, არამედ გარე კანიც. საბჭოთა კავშირში, სახელმობრ, ნესტიიან სუბტროპიკულ ადგილებში, ამ კულტურის გაშენებამ მოიძოვა ფართო ადგილი და გადაიქცა პარტიისა და ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საგნად.

ამს. ლავრენტი ბერიას დაულალავმა მუშაობაში და ზრუნვაში სუბტროპიკულ ჭულტურათა პლანტაციების განვითარება სწრაფი ტემპებით წასწია წინ. XVIII პარტკომილობაზე ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა ის ამოცანები, რომლებიც დგას მესამე სტალინურ ხუთწლედში. ციტრუსოვან კულტურათა პლანტაციები მესამე ხუთწლედში უნდა გაიზარდოს 25 ათას ჰექტარსმდე, ხოლო, სსრ კავშირის სახეომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური ქომიტეტის 1940 წ. 25 პრილის დადგენილების თანახმად, 1944 წლის ბოლოს ციტ-

რუსოვანი პლანტაციების ფართობი უნდა გაიზარდოს 40 ათას ჰექტარზე მდგრადად. ამოცანათა წარმატებით შესრულება მჭიდრო კავშირშია სათანადო სა-ცდელ, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების, ლაბორატორიებისა და დაწესე-ბულებების მუშაობასთან. ჩვენი ქვეყნის ციტრუსოვან მცენარეთა სხვადასხვა აღვილება მოყვანილი ნაყოფი შესწავლილია სხვადასხვა საკვლევო ინსტიტუტის მიერ, მათში ვიტამინ „C“-ს შეცულობის მიზნით. ხოლო ციხისძირის, კერძოდ კი სტალინის სახელობის უნივერსიტეტის პლანტაციის ნაყოფი, რამდენადაც ვი-ცით, ჯერ არავის გამოუკვლევია. ამის შესრულება ჩვენ განვიზრახეთ, მით უმე-ტეს რომ, როგორც არა ერთმა დაკვირვებამ აღმოაჩინა, ვიტამინ „C“-ს და-გროვება დამოკიდებულია სხვადასხვა ხასიათის ფაქტორზე, მაგალითად: ჯიშ-ზე, ჰავაზე, დაგვილმდებარეობაზე, მოვლაზე, კლიმატურ პირობებზე და სხვ.

გარევეულ პირობებში მიღებული მაღალი მაჩვენებლები ხელს შეუწყობენ ციტრუსების კულტურის მოყვანის საქმის უფრო მაღალ დონეზე აყვანას მოსაგლის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გადიდებისათვის.

ჩეენ მიერ საკვლევო ობიექტად აღებული იყო № 2 მამულის ნაკვეთი, სა-
დაც ამონგებულ იქნა სათანადო დანომრით 6 მანდარინის ხის ძირი, 2 ლრმონი-
სა და 2 ფორმობლის. აღებული ხევბის შესახებ ზოგიერთი ცნობა, მიღებული
აგრონომი ვ. თვალჭრელიძის დახმარებით, მოთავსებულია ქვემომყვანილ მე-3
ცხრილში.

ଓବ୍ରିଲୋ 3

№	ნაყოფთა სახელწოდება და ჯიში	ზის ნო- მერი	სიმაღლე მეტრებში	სიგანე წლებისა	მხარე და ადგილმდე- ბარეობა
1	მანდარინი იაპონ. უნშიო	27	2,5	4	სამხრეთ-ფერდობი
2	"	4	"	"	აღმოსაცლეთ-ფერდობი
3	"	28	3	4,5	ჩრდილოეთ-დაქანება
4	"	3	3,5	"	3 ა. კ ე
5	"	30	2	2,5	დასაცლეთ-ფერდობი
6	"	29	3,5	5	სამხრეთ-დასაცლეთი
7	ლიმონი "ათანის"	316	4	2	30 სამხრეთ-დაქანება
8	"	157	3,5	2,5	"
9	ცორთოხალი იტალიური	269	4,5	4	"
10	"	245	3	3,5	"



ჩვენ მიერ შესწავლილი იყო ციხისძირის ციტრუსების (ლიმონი, „შანქატკურინი და ფორთხვალი) 1937 და 1938 წლების მოსავალი. პირველი წლის მოსავლისგან ნიმუშები ავიღეთ მთავარი მოსავლის აღების შემდეგ, მეორე წლის მოსავლის ნიმუშები დაკრეფილ იქნა 10 დეკემბერს, როცა ჯერ კიდევ მთავარი მოსავალი არ იყო ჩამოლებული. საანალიზო ნიმუშებს, ე. ი. ნაყოფს, ვკრეფდით ხის წვეროდან და მისი ოთხევე მხარიდან. ამას ჩავდიოდით იმ შიზნით, რომ რაც შეიძლება მთლიანი ყოფილყოფა მოელი ხის ნაყოფის სურათი. მოკრეფილ ნაყოფს ვაზვევდით პაპიროსის თხელ ქალაღში და ვალაგებდით ხის ყუთში, რომელიც იგზავნებოდა საანალიზო თბილისში. პირველ რიგში ვიტამინ „C“-ს ვასტლერავდით ტილმანსის მეთოდით¹, რომელიც მოელ რიგ მაღლევარების მიერ ჩატარებულ დაკვირვებათა და შემოწმებების შემდეგ მიღებულია როგორც საქმარე ზესტი შედეგების მომცემი ციტრუსების ნაყოფისათვის.

Саშუალო ნიმუშის ალებისაფეის თითოეული ხის სხვადასხვა შხრიდან მოკრეფილი მანდარინის 5 ცალი ნაყოფი თითოეულად იწონებოდა, ეცლებოდა ქანი, რომელიც აგრეთვე იწონებოდა, და იზომებოდა მისი სისქე. 5 შეერთებული გულისაგან ვიღებდით გარკვეულ წონაქს, რომელშიაც ზემოხსენებული მეოთვით ისაზლვრებოდა ვიტამინი „C“. ამ მიზნით საშუალო ნიმუშიდან ალებული წონაკი, მაგალითად, № 27 ხის შემთხვევაში — 10,99 გრ. მანდარინის გულის ნაწილი თავსდებოდა შუშის როდინში და 1% HCl 15 მლ. დასხმის შემდეგ სწრაფად ისრისებოდა. კარგად დასრუსის შემდეგ, სითხე დეკანტაციით ისხმებოდა 100 მლ. კულაში. როდინში დარჩენილი მასა ხელახლა ისრისებოდა 10—15 მლ. 2% HCl-სს მიმატებით. სსნარი კვლავ ისხმებოდა სსნარის შემცველ 100 მლ. კულაში და ეს ოპერაცია გრძელდებოდა იქმდე, სანამ მოელი მასა საკეთო არ იქნებოდა კარგად დასრუსილი. დასასრულ, 100 მლ. კულა ივსებოდა ხაზამდე იმავე 2% HCl მეტათი. კარგად ანჯორევის შემდეგ, სსნარი სწრაფად იფილტრებოდა და ვიტამინ „C“-ს განსასაზღვრავად თითოეული ცდის ფილტრატიდან იღებოდა 1 მლ. და იტიტრებოდა მიკრობიურეტიდან 2,6 დიქლორფენოლ-ინდოფენოლით ($0,001 \text{ N}$) ოდნავ მოვარდისფერო შეფერადებადლე. აღნიშნული შემთხვევისათვის (ხე № 27) 1 მლ. დაიხარჯა ინდიკატორის 0,31 მლ. საკონტროლო — 0,31 მლ. 100 მლ. წავიდოდა 31 მლ., ე. ი. 10,99 გრ. წონაზე.

ინდიკატორის შესწორების კოეფიციენტი—1,048

$$31 \text{ მმ.} \times 1,0 \text{ მ} = 32,483 \text{ მმ., აქედან}$$

$$\text{შონაკის } 1 \text{ გრამზე } \frac{32,488}{10,9} = 2,95 \text{ მლ. დაიხარჯება,}$$

100 զմաթերթ-295 թռ.

¹ მარილეონდერი შეცვლით.

$$100 \text{ გრ.} - \frac{295}{11,4} = 25,92.$$

25,92 მილ. გრ. %.

ასეთივე გზით განსაზღვრული იყო მანდარინის ხუთი—№ 28, № 29, № 30, № 3 და № 4—ხის 1937 და 1938 წლების ნაყოფი.

1937 წლის მოსავლისაგან მიღებული შედეგები მოყვანილია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4, 1937 წლის მოსავალი.

ნის ნომერი	ნაყოფის სახელმწიფო ნიმუში	ჩის მდებარეობა	საშუალო ნიმუში წონაკი, განსხვილი 2% HCl-ს 100 მლ	სინარი 1 მლ. და სარჯული რაოდე ნობა სალიკონფე- (კრ დიელიკონფენტი)	ვატ. "C"-ს რაო- დენობა მილ. გრ. %
97		სამხრეთ-ფერდობი	10,99	0,32	25,92*
28	ნ ი	ჩრდილოეთ-დაქანება	11,23	0,31	24,96
29	დ	სამხრეთ-დასავ.	22,67	0,626	24,2
30	უ	დასავლეთ-ფერდობი	10,19	0,278	24,97
3	გ ა მ ე	გ ა მ ე	11,265	0,35	27,92
4	გ	აღმოსავლეთი	8,491	0,271	28,02

ცხრილში მოცემულია თითოეული ხისგან მოკრეფილი მანდარინების საშუალო ნიმუშის წონაკი. ვიტამინ „C“-ს რაოდენობა გამოხატულია მილიგრამ %-%-ში შემდეგი რიცხვებით: 24,2 მ. გრ. %, 24,96; 24,97, 25,92; 27,92; 28,02; მ. გრ. % ან ალოგიურად. ცხრ. მე-5-ში მოყვანილია იმავე ხეებისგან აღებული 1938 წლის მოსავლის შედეგები, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ვიტამინი „C“ განსაზღვრული იყო არა მარტო ნაყოფის გულში, არამედ მის გარე კანშიც.

ორი წლის მოსავლის ნაყოფის გულში ვიტ. „C“-ს შედარება (ცხრილი მე-4 და მე-5) იძლევა განსხვავებულ რიცხვებს. მაგალითად, 1938 წ. ჩვენ გვაქვს: 39,90; 40,18; 40,55; 41,17; 41,88; 42,76 მ. გრ. %. ხოლო 1937 წელს 24,22; 24,97; 27,92; 24,9%; 28,02; 25,92 მ. გრ. %. „C“ ვიტამინის ეს მარტივი შედარება გვიჩვენებს, რომ 1938 წელს უფრო მაღალი ღირსების ნაყოფთან გვაქვს საქმე, რადგან „C“ ვიტამინით იგი უფრო მდიდარია. რით უნდა ავსნათ ეს? ამისათვის საჭიროა განვიხილოთ, თუ რახეა დამოკიდებული ვიტ. „C“-ს დაგროვება შეცნარეთა ორგანიზმში. ღიტერატურაში მოპოვებული მასალები გვეუბნება, რომ ამის მიხევთ შეიძლება მრავალი იყოს და ეს ცვალებადობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მაგალითად: პავზე, ნია-

დაგზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე, აგროტექნიკურ პირობებზე, სასტატისტიკურ მდებარეობაზე, მცენარეთა ჯიშზე, სახეობაზე და სხვ. აგრეთვე ვიტამინ „C“-ს, ასუ ასკორბინმეჟავას რაოდენობა ცვალებადია მცენარის ვეგეტაციური პერიოდის ცალკეულ მომენტებში. ზოგიერთ შემთხვევაში შეტი რაოდენობა ზემოქნეულია ნორჩ ფოთლებში, შემდეგ თანდათანობით მცირდება და საგრძნობლად იქლებს ვეგეტაციის პროცესის დამთავრებისას. შემოღომის ყვითელი ფოთლები შეიცავენ ვიტამინ „C“-ს მცირე რაოდენობას. ჩვენს შემთხვევაში ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ნიადაგი, ჰავა, გეოგრაფიული მდებარეობა, ჯიში, მოელა, განოუირება შეიძლება იქნას გამორიცხული, რადგან ორივე წელს ეს ფაქ-

ცხრილი 5

ასე ნომი ნის	ნაყოფი	ხეების მდებარეობა	ვიტამ. „C“-ს რაოდენობა გულში მილ. გრ. %	ვიტამ. „C“-ს რაოდენობა კანში მ. გ. %
27	0	სამხრეთ-ფერდობი	42,76	95,60
28	0	ჩრდილოეთ-დაქანება	41,17	99,70
29	0	სამხრეთ-დასავლეთი	39,90	97,66
30	0	დასავლეთ-ფერდობი	40,18	97,90
3	0	3 2 4 0	40,55	103,95
4	0	აღმოსავლეთი	41,88	103,15

ტორები შედარებით ერთნაირი იყო. ჩვენი შეხედულებით, განსხვავების მიზეზი და მისი ახსნა უნდა ვეძიოთ სიმწიფის მომენტის გადაცილებაზი, ვინაიდან 1937 წ. ნიმუშების აღება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გარეშე დაგვიანებით მოხდა, მაგალითად, მთავარი მოსავლის მოკრეფის შემდეგ. გარდა ამისა, ანალიზიც დაგვიანებით გაექთდა. დამწიფებულმა ნაყოფმა ხესე დარჩენის დროს მიაღწია სიმწიფის მომენტს და, შეიძლება ვიფიტოთ, კიდეც გადამშიოდა, რასაც დაემატა ღრმ ანალიზის გაკეთებამდე. მართალია, ასეთი ნაყოფი ვემოთი უფრო ტკბილია, ხოლო ვიტამინ „C“-ს შემადგენლობით უფრო ღრმის. ჩვენ მომხრენი ვართ ასეთი ახსნისა და ეს მიგვითოთებს იმაზე, თუ რაოდენად მნიშვნელოვანია ასეთი მომენტის დაკერა, თუ ჩვენ გვინდა ვიქონიოთ „C“ ვიტამინით უფრო მდიდარი ნაყოფი. ამ მაგალითს ვხვდებით 1938 წლის მოსავალში. 1937 წლს ნიმუშები დაგვიანებულად იყო აღებული, მაშინ რაოდესაც 1938 წლის მოსავლის მანდარინის ნაყოფი ხიდან ჩემოღებული იყო თავის დროზე, რის გამ ჩვენ იმავე ხეების ნაყოფში მივიღეთ შეტი რაოდენობა „C“ ვიტამინისა. მაგ., ხე № 27—25,92 მილ. გრ. % და 42,76 მილ. გრ. %-. ჩვენი რიცხვე-

ბის შედარება (1938 წლისა) „C“ ვიტამინისათვის ზოგიერთი სხვა უკავშირებელი შექმნილ რიცხვებთან გვიჩვენებს, რომ ციხისძირის მანდარინები უფრო მაღლა დგას, მაგალითად, ამ. სამარსკის მიერ შესწავლის ნაყოფზე და სა-შუალო ადგილს იკავებს ვ. ბუკინის მიერ მოყვანილ რიცხვებს შორის.

„უნშიო“ ჯიშების მანდარინების (1938 წ. მოსავლისა) ცამეტი ნიმუში გამოკვლეულია სამარსკის მიერ სოჭის საცდელ სადგურში „C“ ვიტამინის რაოდენობის მხრივ. მოცემული რიცხვები იმყოფებიან 31,2 მ. გრ.%—41,5 მ. გრ. % შორის. ვ. ბუკინის მონაცემებში— 40—50 მ. გრ. %—მდე და ჩვენი 39,90 მ. გრ. % 42,76 მ. გრ. %—მდე. ზოგიერთი მასალა ლაპარაკობს „C“ ვიტამინისა და ქლოროფილის ფუნქციის კავშირზე, რომ ასკორბინმეჟავა წარმოიქნება მცენარის მწვანე ნაწილებში, რის შემდეგ ის გროვდება ნაყოფში და ბოლქვებში. ქლოროფილით მდიდარი მცენარეები ვიტამინ „C“-ს უფრო მეტს შეიცავენ, ვიდრე უქლოროფილო. ასკორბინმეჟავას კავშირი ფოტოსინთეზთან თითქოს გვიკარნახებს იმას, რომ იმ ქვეყნებსა და ადგილებში, სადაც მზის მოქმედება დიდია, ვიტამინ „C“-ს დაგროვებაც მეტი უნდა იყოს, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. მწვანე მლიერებში ვიტამინ „C“ არ აღმოჩნდა, კომბოსტოს გარეგანი და შიგნითა ფოთლები ერთნაირი რაოდენობით შეიცავენ მას, სოკობში ის სრულებით არ არის. ზოგჯერ ვიტამინი „C“ სინათლის უთანამდებით წარმოქმნილია ბენელაში.

მთელი რიგი ავტორი იზიარებს იმ აზრს, რომ ვიტ. „C“ არის პირდაპირი პროდუქტი ფოტოსინთეზისა, მაგალითად, Giroud, Bessey, Dischendörfer, Huszák და სხვები. King-ი ამას უარყოფს, Mirimandoff-მა თავის ცდებში ვერ გამოავლინა კავშირი ქლოროფილსა და ასკორბინმეჟავას შორის. კუზნეცოვა, ზარუდნაიამ და ბლაგოვეზჩენსკაიამ, პირიქით, შეამჩნიეს, რომ ასკორბინმეჟავას რაოდენობა ზოგიერთი მცენარის ფოთლებში ფოტოსინთეზის საათებში შესამჩნევად ქლებულობს და აღდგება ლამე ასიმილაციის პროცესის დამთავრებისას. ყველა ეს მოწმობს იმას, რომ ვიტ. „C“-ს ფოტოსინთეზთან კავშირის საკითხი ჯერ კიდევ სავსებით არ არის გადაჭრილი და ამიტომ ყოველი ამის ახალი დამადასტურებელი ფაქტი საყურადღებოა და ინტერესს არ არის მოკლებული. რას გვაძლევს ამ მხრივ ჩვენი შედეგების განხილვა? გავიხსნოთ, თუ რა მდებარეობა უჭირავთ ჩვენი დაკვირვების და შესწავლის ობიექტებს. მანდარინის ხეები არის აღმოსავლეთით, დასავლეთ-ფერდობზე, ჩრდილოეთ დაქნებაზე, სამხრეთ-ფერდობზე, ვაკეზე და სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართულ ფერდობზე.

ანალიზის შედეგების განხილვა გვიჩვენებს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეზე დაკრეფილი ნაყოფი უფრო მეტად მდიდარია ასკორბინმეჟავათი და სხვა დანარჩენიდან ნაკლებია დასავლეთის მიმართულებით. ამ შედარებით მცირე მოედანის სხვადასხვა ადგილზე მდებარე ხე ერთნაირ პირობებში არ იმყოფება ვიტ. „C“ წარმოქმნისა და დაგროვებისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ექვემდებარებული ჯგუფის ავტორების შეხედულებებს, და მაშინ



ამ მხრივ მეტად საყურადღებო და საინტერესო საკითხებსაც ვხვდები უკანონო დოკუმენტების მიზანის შესწავლას და ნამდვილი მიზეზების გამოვლინებას. მაგ., მხის შუქის სიმღიდოებები, დაჩრდილვა, სინესტე, მყუდროება, ხეზე ნაყოფთა რაოდენობა და სხვა მიზეზები როგორ მოქმედებენ ვიტ. „C“-ს დაგროვებაზე. ჩვენს შემთხვევაში ჩანს, რომ ამ მხრივ საუკეთესო პირობები აქვთ აღმოსავლეთით, სამხრეთ მდებარე ხეებს. ასეთ გარემოებას ვხვდებით არა მარტო ნაყოფის გულში ვიტამინ „C“-ს განსაზღვრის დროს, არამედ ნაყოფის გარებან ნაწილში, ე. ი. აღმოსავლეთით მდებარე ხის ნაყოფის კანში, სადაც ჩვენ გვაქვს მეტი რაოდენობით ასკორბინგება. 1938 წლის მოსავლის ქერქში მოპოვებულია 96,66 მ. გრ. % -დან 106,15 მ. გრ. % -მდე. ამ მხრივ ჩვენი შედეგი ეთანხმება სხვების მიერ მოპოვებულს, მაგალითად, იმავე ა. სამარსკის მიერ შესწავლილ მანდარინებში ვიტამინი „C“ ნახულია მეტი რაოდენობით ქერქში, ვიდრე გულში.

მანდარინში, გარდა „C“ ვიტამინისა, ჩვენ განვსაზღვრეთ ზოგიერთი სხვა შემადგენელი ნივთიერება, მაგალითად: შაქარი, ცელულოზი, პექტინური ნივთიერება და აგრეთვე სინესტე, მჟავიანობა და სხვ. ყველა ამ განსაზღვრისათვის აღებულ იქნა ერთიდაიგივე საშუალო ნიმუში, რომელიც მზადდებოდა შემდეგ ნაირად: თითოეული ხის ნაყოფისაგან „C“ ვიტამინის განსაზღვრის შემდეგ დარჩენილი გულები გროვდებოდა ერთად და ტარდებოდა ხორცის საქვაც მანქანაში; მასას, გულმოდებინე არევის შემდეგ, ვყოფდით წონაკებად თითოეული ზემოხსენებული ნივთიერების განსასაზღვრავად. წონაკები იწოდებოდა ერთდროში.. რედუქციულ შაქრებს გააზღვრავდით ბერტრანდის მეთოდით, გლუკოზას ვილ შტერეტერისა და შუდლის მეთოდით, ფრუქტოზა კი ისაზღვრებოდოდა რედუქციული შაქრების და გლუკოზის სხვაობის მიხვედვით. თითოეული ანალიზის შედეგები მოცემულია ქვემომოყვანილ მე-6 ცხრილში.

ცხრილი 6

ხის ნომერი	ზის ადგილმდებარეობა	რედუქც. შაქრის რაოდენობა გრ. %
27	სამხრეთ-ფერდობი	4,97
28	ჩრდილოეთ-დაქანება	3,43
29	სამხრეთ-დასავლეთი	3,94
30	დასავლეთ-ფერდობი	3,09
3	ვაკე ბ.	4,05
4	აღმოსავლეთი	4,54

ზემომოყვანილი რედუქციული შაქრებისათვის მიღებული რიცხვები კვლეულების საშუალებას შევადაროთ ერთმანეთს ექვსი ხის ნაყოფი შაქრის შეცულობის მხრივ. აქ გხედავთ, რომ შაქრის მეტი რაოდენობა იმ ხევბის ნაყოფშია, რომლებიც მდებარეობენ აღმოსავლეთით, სამხრეთით და ვაკეზე, რაც შეიძლება აეხსნათ ფოტოსინთეზის ინტენსივობით.

ინტერესს მოქლებული არ იქნება, თუ ჩვენ ერთიდაიგივე ხის ნაყოფის „C“ გიტამინის მონაცემებს შევადარებთ შაქრის მონაცემებს, რისოვისაც მოვიყვანოთ ცხრილი მე-7.

ცხრილი 7


ნო მე	ჩის ადგილმდებარეობა	რედუქც. შა- ქრი გრ. %	„C“ ვიტამ. მილ. გრ. %
27	სამხრე-ფერდობი	4,97	25,92
28	ჩრდილოეთ-დაქანება	3,43	24,96
29	სამხრეთ-დასავლეთი	3,94	24,20
30	დასავლეთ-ფერდობი	3,09	24,97
3	ვაკე	4,05	27,93
4	აღმოსავლეთი	4,54	28,02

შეტი თვალსაჩინოებისათვის ვისარგებლოთ გრაფიკული გამოხატულებით. (იხ. გრაფიკი მე-152 გვ.).

ვერტიკალზე აღნიშნულია ვიტამინი „C“ და რედუქციული შაქრის რაოდენობა, პორიზონტალზე კი—ხები. აქაც ვამჩნევთ იმიავე დამოკიდებულებას, რომ აღმოსავლეთით, სამხრეთით და ვაკეზე მდებარე ხები იძლევიან „C“ ვიტამინს და რედუქციულ შაქრებს უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ის ხები, რომლებიც მდებარეობენ დასავლეთით და ჩრდილოეთით.

ცხრილი მე-8 გვაძლევს ფრუქტოზისა და გლუკოზის რაოდენობას, გამოხატულს % -ში, ყველა ხის ნაყოფისათვის ცალცალკე.

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ორ შაქარს შორის გლუკოზა გაცილებით უფრო მეტი რაოდენობითაა ნაყოფში, ვიდრე ფრუქტოზა. გარდა ამისა, ჩვენ ვამჩნევთ № 27 ხის ნაყოფში ამ ორი შაქრის თითქმის გათანაბრებას. ზემომოყვანილ მე-7 ცხრილში ჩვენ უნახეთ, რომ ვიტამინი „C“ ერთგვარ დამტკიდებულებაში იყო რედუქციულ შაქრებთან და ამდენად საინტერესოა დავუპირისპიროთ ვიტამინი



ცხრილი 8 ციტრუსოვანი ნაყოფის ანალიზი

ნომერი ნის	მდებარეობა	გლუკოზ. რაოდენობა გრ. %	ფრუქტ. რაოდენობა გრ. %	შეფარდება გლუ- ფრუქტ.
27	სამზრეთ-ფერდობი	2,85	2,19	1,3
28	ჩრდილო-დაქანება	2,39	1,04	3,2
29	სამზრეთ-დასავლეთი	2,83	1,11	2,5
30	დასავლეთ-ფერდობი	2,38	0,71	3,3
3	ვაკე	3,05	1,00	3,0
4	აღმოსავლეთი	3,47	1,07	3,2


გლუკოზის და ფრუქტოზის და ვნახოთ, თუ რა დამოკიდებულება არის მათ შორის; ამას გვიჩვენებს ცხრილი მე-9.

ცხრილი 9

ნომერი ნის	მდებარეობა	გლუკოზ. რაოდენობა გრ. %	ფრუქტ. რაოდენობა გრ. %	ვიტამინ. „C“ მ. გრ. %
27	სამზრეთ-ფერდობი	2,83	2,19	25,92
28	ჩრდილო-დაქანება	2,39	1,04	24,96
29	სამზრეთ-დასავლეთი	2,83	1,11	24,20
30	დასავლეთ-ფერდობი	2,28	0,71	24,97
3	ვაკე	3,05	1,00	27,93
4	აღმოსავლეთი	3,47	1,07	28,02

ამ ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ვიტამინი „C“ უფრო მეტ კავშირშია გლუკოზისთან, ვირდე ფრუქტოზისთან, ე. ი. გლუკოზის რაოდენობრივი ზრდა იწვევს აგრეთვე „C“ ვიტამინის ზრდას; ლიტერატურაში ვხვდებით სხვა მასალებსაც ამ საკითხის შესახებ, მაგალითად, ნ. პ. ონოხოვის დაკვირვებით დამწიფების დროს ასკილში, შევ მოცხარში, მარწყვში და ციტრულში „C“ ვიტამინის რაოდენობა მატულობს საერთოდ ნახშირწყლების რაოდენობასთან ერთად და კერძოდ „C“ ვიტამინის რაოდენობის ზრდას ავტორი უკავშირებს ფრუქტოზის რაოდენობრივ ზრდას.

თვეალსაჩინოებისათვის ეს დამოკიდებულება გამოვხატოთ გრაფიკულად ეს გრაფიკულად ეს



გარდა გლუკოზისა და ფრუქტოზის განსაზღვრისა საჭირო იყო განვითარებული ინვერტიული შაქარი, რისთვისაც ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა ბერტინის მეთოდი. გამოკვლევის შედეგები მოყვანილია მე-10 ცხრილში.

ცხრილი 10


№	მდებარეობა	ინვერტ. შაქრის რაოდენობა გრ. %	ინვერტ. შაქ- რის რაოდენ. გადანგ. საპ. გრ. %
27	სამხრეთ-ფერდობი	9,80	9,30
28	ჩრდილო-დაქანება	8,08	7,67
29	სამხრეთ-დასავლეთი	8,58	8,15
30	დასავლეთ-ფერდობი	8,32	7,90
3	ვაკე	9,97	9,47
4	აღმოსავლეთი	10,55	10,00

შევადაროთ მიღებული შედეგები ინვერტიული შაქრისა, სახაროზისა და ასკორბინმეჯავასი და ვნახოთ მათი ურთიერთდამოკიდებულება; ამას მე-11 ცხრილში გვიჩვენებს.

ცხრილი 11

№	მდებარეობა	ინვერტ. შაქრის გრ. %	ინვერტ. შაქ- რის რაოდენ. გადანგ. საპ. გრ. %	ვიტ. "C" რაოდენობა მილ. გრ. %
27	სამხრეთ-ფერდობი	9,8	9,30	25,92
28	ჩრდილო-დაქანება	8,08	7,67	24,96
29	სამხრეთ-დასავლეთი	8,58	8,15	24,20
30	დასავლეთ-ფერდობი	8,32	7,90	24,97
3	ვაკე	9,97	9,47	27,93
4	აღმოსავლეთი	10,55	10,00	28,02

თვალსაჩინოებისათვის გამოვხატოთ გრაფიკულად.




ჩვენი მონაცემებიდან ჩანს, რომ ინვერტიული შაქარი მეტი რაოდუქტობული
№ 4, № 3 და № 27 ხის ნაყოფში; ასეთივე სურათს ვღებულობთ გლუკოზის
შემთხვევაში. რაც შეეხება „C“ ვიტამინს, ეს უკანასკნელი იშრდება ნაყოფში
ინვერტიული შაქარის ზრდასთან ერთად. ინვერსიის შემდეგ მოვახდინეთ გლუკო-
ზის გამოანგარიშება. ვიღ შტერერისა და შუდლის მეტოდით განსაზღვრა
და სახაროზის შედეგები მოცემულია ცხრილ. მე-12 და მე-13-ში და ოვალ-
საჩინოებისათვის გამოხატულია გრაფიკულია.

— ცხრილი 12

ზის №	მ დ ე ბ ა რ ე თ ბ ა	გლუკოზ.	
		რაოდენობა გრ. %	ფრუქტოზის რაოდენობა გრ. %
27	სამხრეთ-ფერდობი	5,78	4,02
28	ჩრდილო-დაქანება	5,01	3,01
29	სამხრეთ-დასავლეთი	5,86	2,66
30	დასავლეთ-ფერდობი	5,13	3,29
3	ვ ა რ ვ	5,80	4,17
4	ალმოსავლეთი	7,75	2,80

ცხრილი 13

ზის №	მ დ ე ბ ა რ ე თ ბ ა	საჩარონა	
		ვიტ. „C“ გრ. %	მ. ვიტ. „C“ გრ. %
27	სამხრეთ-ფერდობი	4,33	25,92
28	ჩრდილო-დაქანება	4,24	24,96
29	სამხრეთ-დასავლეთი	4,21	24,20
30	დასავლეთ-ფერდობი	4,81	24,97
3	ვ ა რ ვ	5,42	27,93
4	ალმოსავლეთი	5,46	28,02



შეჯამება მოელი სურათისა შიქრების და ვიტამინ „C“ კავშირის შორის, ჩვენ მიერ მომოქმედულ შედეგში გვაძლევს საშუალებას შემდეგი დასკვნის გამო-
 ტანისათვის: ვიტამინი „C“ და კავშირებულია მინდარინის ნაყოფში შაქრის
 რაოდენობასთან, ამ უკანასკნელის მომატება იწვევს ვიტ. „C“ რაოდენობის
 ზრდას. გარევეულ თანმიმდევრობას გამჩნევთ დისახარილის—სახარიზისა და

ვიტ. „C“ დაგროვებაში. ნაყოფში არსებულ მონოზებიდან, სახელლომუშავებულ კოზასა და ფრუტოზას შორის, მეტ დაახლოების ვეგდებით გლუკოზსთან. საბაროზა, გლუკოზა და ასკორბინმეჟავა მეტი ოდენობით გროვდება აღმოსავლეთით, ვაჟე და სამხრეთ-ფერლობზე მდებარე ხის ნაყოფში, რაც მოწმობს ამ აღვილებში საამისო უქეთესი პირობების არსებობას. შაქრებისა და ასკორბინმეჟავის ურთიერთვავშირი გვიკარნახებს, რომ ვიტამინ „C“-ს წარმოქმნისათვის წინამდობლი ნივთიერება შეიძლება ვეძიოთ შაქარში, ე. ი. ვიტ. „C“-სთვის პროვიტამინის როლს თითქოს ასრულებს; პროვიტამინის საკითხი ვიტ. „C“-სთვის დღემდე გადაუჭრელია.

გარდა ნახშირწყლებისა, ჩვენ მიერ ნაყოფში განსაზღვრული იყო საერთო მეუკიანობა, რის შედეგები მოგვყავს მე-14 ცხრილში.

ცხრილი 14


ნის №	მ დ ე ბ ა რ ე რ ბ ა	საერთო მუ. გადაანგ. ლიმნმქ. %
27	სამხრეთ-ფერლობი	1,27
28	ჩრდილო-დაქანება	1,13
29	სამხრეთ-დასავლეთი	0,84
30	დასავლეთ-ფერლობი	0,82
3	ვ ა კ ვ	1,13
4	აღმოსავლეთი	1,04

საერთო მეუკიანობისა და საერთო შაქრიანობის დაპირისპირებისათვის მოვიყვანოთ ცხრილი მე-15 და თვალსაჩინოებისათვის გრაფიკი მე-5.

ცხრილი 15

ნის №	მ დ ე ბ ა რ ე რ ბ ა	საერთო შაქარი გრ. %	საერთო მეუკია- ნობა გადაანგ. ლიმ. მუ. გრ. %	ვიტ. „C“ რაოდ. მ. გრ. %
27	სამხრეთ-ფერლობი	9,80	1,27	25,92
28	ჩრდილო-დასავლეთი	8,08	1,13	24,96
29	სამხრეთ-დასავლეთი	8,56	0,84	24,20
30	დასავლეთ-ფერლობი	8,32	0,82	24,97
3	ვ ა კ ვ	9,97	1,13	27,02
4	აღმოსავლეთი	10,55	1,04	28,02

ვიტამინ „C“-და მეუკიანობას შორის ემშევა პირდაპირი კავშირი, ვინაიდან ხევი № 27, № 3 და № 4, სხვებთან შედარებით, არიან მდიდარი „C“ ვიტამინით და ამავე დროს მეუკიანობაც მეტი აქვთ, რაც ეთანხმება ზოგიერთი აეტონის მიერ მიღებულ შედეგებს, მაგალითად, ლ. არეჭკინისას.



თუ შევადარებთ ჩვენს შედეგებს ფ. ვ. ცერევიტინვის წიგნში მოყვან იღ რიცხვებს, „უნშიო“ ჯიშის მანდარინებს, „იაპონურსა“ და „მიკალის“, ვნახავთ, რომ იქ თითქმის იმავე რაოდენობის მქავას. შეეფარდება ვა-იოლებით უფრო ნაკლები შაქარი, ვიდრე ჩვენს ნაყოფში (ცხრილი № 16).

ცხრილი 16. ფ. 3. ცერევიტინოვის მიხედვით

ნაყოფის სახელწოდება	ჯ ი ზ ი	ლიმ. მჟ. რაოდენობა 100 მლ. წვ.	საერთო შაქარი %
რინ კონ კლ	იაპონური „უნშიო“	0,59	2,94
	„სეილკანინი“	1,09	3,91
	იაპონური „მიკადო“	1,33	2,25

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი მანდარინები გაცილებით უფრო მდიდარია შაქრებით. ამის გარდა, ლიმონმჟავათი უფრო მდიდარია № 27, № 3 და № 28 ხის ნაყოფი, მხოლოდ უფრო ნაკლებია შედარებით იაპონურ მიკადოსთან. ჩვენ მიერ განსაზღვრული იყო ექსტრაქტული ნივთიერება ჩვეულებრივი მეთოდით (ცხრილი მე-17), პექტინური ნივთიერება მ. მელიტი ცის მეთოდით (ცხრილი მე-18), არასუფთა ცელულოზი გენენბერგისა და ჭრომანის მეთოდით (ცხრილი მე-19), მთრიმლავი და მღებავი ნივთიერებანი ნეიბაუერის და ლევენტალის მეთოდით (ცხრილი მე-20), ნაცარი განგსაზღვრეთ ჩვეულებრივი წესით (ცხრილი მე-22).

ე. სამარსკი და სხვა აგტორები ემყარებიან თავიანთ დაკვირვებებს და გამოყავთ დასკვნა, რომ „C“ ვიტამინის რაოდენობა ნაყოფში დამოკიდებულია ნაყოფის სიდიდეზე, მაგალითად, ერთიდაიგვე ხისგან სიმწიფის დროს ალებულ ნაყოფებიდან მცირე წონის ნაყოფი შეიცავს 0%-ში „C“ ვიტამინს უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე დიდი წონის ნაყოფი. ჩვენი მონაცემები ამ დასკვნას არ ადასტურებენ, რაც ჩანს მე-23 ცხრილიდან.

ცხრილი 17

ნის №	მ დ ე ბ ა რ ე თ ა	ექსტრაქტი გრ. %
27	სამხრეთ-ტერდობი	11,41
28	ჩრდილო-დაქანება	11,04
29	სამხრეთ-დასკვლეთი	10,52
30	დასკლეთ-ტერდობი	11,51
3	ვაკე	13,14
4	აღმოსავლეთი	12,98

ნის №	მ დ ე ბ ა რ ე თ ბ ა	პექტ. ნივთ. Ca-ის მარილის სახით გრ. %
27	სამხრეთ-ფერდობი	0,32
28	ჩრდილო-დაქანება	0,22
29	სამხრეთ-დასავლეთი	0,24
30	დასავლეთ-ფერდობი	0,19
3	ვ ა კ ვ	0,21
4	აღმოსავლეთი	0,23

ცხრილი 19

ნის №	მ დ ე ბ ა რ ე თ ბ ა	ცილულ. გრ. %
27	სამხრეთ-ფერდობი	0,35
28	ჩრდილო-დაქანება	0,36
29	სამხრეთ-დასავლეთი	0,24
30	დასავლეთ-ფერდობი	0,43
3	ვ ა კ ვ	0,44
4	აღმოსავლეთი	0,52

ცხრილი 20

ნის №	მ დ ე ბ ა რ ე თ ბ ა	მოზ და მღ. ნივთ. გრ. %
27	სამხრეთ-ფერდობი	0,023
28	ჩრდილო-დაქანება	0,025
29	სამხრეთ-დასავლეთი	0,029
30	დასავლეთ-ფერდობი	0,021
3	ვ ა კ ვ	0,022
4	აღმოსავლეთი	0,039

ნის №	მდებარეობა	ნაცრის რაოდენობა გრ. %
27	სამხრეთ-ფერდობი	0,43
28	ჩრდილო-დაქანება	0,45
29	სამხრეთ-დასავლეთი	0,414
39	დასავლეთ-ფერდობი	0,53
3	გავი	0,44
4	აღმოსავლეთი	0,50

ცხრილი 22

ნის №	მდებარეობა	სინებრე გრ. %
27	სამხრეთ-ფერდობი	86,95
28	ჩრდილო-დაქანება	87,48
29	სამხრეთ-დასავლეთი	88,05
30	დასავლეთ ფერდობი	89,47
3	გავი	86,21
4	აღმოსავლეთი	85,15

6 ი 3 თ ი ე რ ე ბ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ნის №	5 ნაყოფის წონა გრ.შ.	5 ნაყოფის გულის წონა გრ.შ.	5 ნაყოფის კანის წონა გრ.შ.	1 ნაყოფის წონა გრამეტები	1 ნაყოფის გულის წონა გრ.შ.	1 ნაყოფის კანის წონა გრ.შ.	C ⁺ რაოდენ- ობის გრ. %	C ⁺ რაოდენ- ობის გრ. %
	27	216,62	163,87	52,75	43,32	32,77	10,55	42,76	95,60
	28	335,77	257,20	78,57	67,15	51,14	15,71	41,17	99,70
	29	320,50	208,9	112,6	64,1	41,58	22,52	39,20	97,66
	30	299,55	216,26	83,29	59,21	43,25	16,55	40,18	97,90
	3	216,90	159,45	57,40	43,38	31,89	11,48	40,55	103,95
	4	263,15	199,75	63,40	52,69	39,25	12,60	41,88	106,15
	245	476,1	353,5	142,6	95,2	66,7	28,5	65,45	86,66
ფორმობალი . . .	269	303,3	251,4	54,9	61,26	50,28	10,98	66,17	82,21
	175	129,8	92,9	36,9	25,96	18,53	7,38	82,16	207,0
ლ ი 8 თ 6 0 . . .	316	194,3	137,6	57,2	38,98	27,5	11,4	79,19	233,0

გარდა მანდარინებისა, აგრეთვე შევისწავლეთ ციხისძირის ფორმობლები და ლიმონები. 1937 წლის მოსავლის ლიმონი და ფორმობალი უფრო ვრცლად იქნა შესწავლილი, ხოლო 1938 წ. მოსავალი, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, გამოკვლეულ იქნა მარტო „C“ ვიტამინის მიხედვით. ნიმუშები დაკრეფილ იქნა მანდარინებთან ერთად.

ყველა შემაღებელი ნივთიერების განსაზღვრა წარმოებდა იმავე მეთოდით, რაც გამოყენებულ იქნა მანდარინების ნაყოფის შესწავლის დროს. შევადაროთ ციხისძირის ფორმობლის ქიმიური შემაღებელობა სხვა კავკასიურ ფორმობლებს (ცხრილი მე-24).

ციტრუსი გუბენის დაცვის სამსახური	1938 წლის მოსავალი	ციტრუსი					
		„C“ ციტრუსი 0% სულფიტი					
1 იაფადან	157	2 16,7	82,1	86,13	13,87	3,63	2,27 6,01 0,65
2 ვაშინგტონიდან	161	1,8	17,1	82,9	83,33	16,67	4,82 3,01 7,49 0,71
3 ციხისძირიდან	95,20	4,2	29,9	70,0	86,59	12,05	3,87 2,62 6,84 2,16 64,95 65,45 86,66
4 ციხისძირიდან	61,26	2,2	17,9	82,0	86,57	11,69	3,40 2,37 6,04 2,38 64,95 66,17 82,21



შედარება გვიჩვენებს ქიმიური შემაღლებლობის მხრივ ციხისძირის და განვითარების თომლების დაახლოებას იაფას ფორთოხლებთან (იერუსალიმიდან), ხოლო ლი-მონევას ციხისძირის ფორთოხლები უფრო დიდი რაოდენობით შეიცავენ.

ციხისძირის ლიმონები საგრძნობლად განირჩევა სტეა ჯიშის ლიმონებისა-გან, მათ აქვთ ძალზე თხელი კანი და ნაყოფი იწონის ნაკლებს, მაგალითად: 26,96 გრ.-დან 38,98 გრ.-მდე, კალიფორნიის ნაყოფი კი იწონის 80—150 გრ. კანი კალიფორნიის ნაყოფს აქვს 12,7—49,8%, გული 13,5—37,7%, მაშინ როდესაც ციხისძირისას კანი აქვს 7,38-11,4%, გული კი—18,53—27,5%.

ჩვენი ლიმონების შესაღარებლად მოგვყავს ფ. ცერევითის „Химия свежих плодов и овощей“-დან ცხრილი მე-25, გვ. 581.

ცხრილი 25

დანეზისა და ბოჟის მონაცემის მიხედვით (იტალიის ლიმონები)

ლიმონის წვენი	ექსტრაქტი %	ლიმონევა %	რედუქტ-შაქრი %	შაქრიანობა
შენინის	10,01	7,03	0,42	
კატანის	10,14	7,21	0,51	
პალერმოს	10,10	6,51	0,62	
სიცილიის ¹	—	5,86	0,87	
კალიფორნიის ²	8,50—13,20	5,74—8,40	1,20—3,60	
ციხისძირის	12,05—11,69	7,48—6,94	1,60—1,50	2,40—2,28

შედარებიდან ჩანს, რომ ციხისძირის ლიმონები თავისი ლირსებით უახლოვ-დება კალიფორნიის ლიმონებს. თუ შევაღარებთ „C“ ვიტამინის შეცულობას სხვა ავტორების მონაცემებს, დავინახავთ, რომ ციხისძირის ლიმონებს აქ უპი-რატესობა ენიჭებათ, მაგალითად:

ვ. ბუკინის მონაცემით, ლიმონის წევნში არის 55 მ. გრ. %, ა. სა-მარსკის მიერ მოცემული ხუთი თსმალური ჯიშის ნიმუშებში ვიტამინი „C“ მერყეობს 45,7—85,5 მ. გრ. %.

სხვებში: „კუბნერა“—73,1%, „ევრიკა“—63,1%, „პონდერო-ზა“—32,3%, „კომუნა“—85,4 მ. გრ. % ციხისძირის ლიმონები კი შეი-ცავენ: 1937 წ. მოსავალი 75,80%—62,55 მ. გრ. %, ხოლო 1938 წ. 82,11%—79,19 მ. გრ. % „C“ ვიტამინისა.

¹ ოლივერისა და გერიგრის ცნობის მიხედვით.

² კოლბისა და დანერის ცნობის მიხედვით.

რაც შეეხება ლიმონის კანს, მასში „C“ ვიტამინის რაოდენობა უდიდესი განედი საზღვრული 207,0% — 233,0 მ. გრ. % ციხისძირის ლიმონი ყველა ზემომოყვანილ ჯიშებში ვიტამინების შეცულობით უახლოვდება „კომუნას“, სხვა შემადგენელი ნივთიერების მიხედვით კი უახლოვდება კალიფორნიის ლიმონებს.

ციტრუსოვან მცენარეთა ნაყოფის სრული ანალიზის შედეგები მოყვანილია მე-26 ცხრილში.

დასკვნები

1. შესწავლილია ციხისძირის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის № 2 ნაკვეთის ციტრუსოვანი ნაყოფები, მათში „C“ ვიტამინისა და სხვა შემადგენელ ნივთიერებათა განსაზღვრით.

2. 1937 და 1938 წლების მოსავლის მანდარინებში ვიტამინი „C“ 1938 წლის მოსავალში უფრო მეტია, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ნაყოფის დაგვიანებით მოკრეფით, ამინდის პირობების ცვალებადობითა და შისი გავლენით.

3. ციხისძირის „უნშიო“ ჯიშის (იაპონური) მანდარინები კავკასიურ „უნშიო“ ჯიშის იაპონურ და „მიკადო“ ხარისხთან შედარებით უფრო ტკბილია მაშინაც, როდესაც მათ ერთიდაიგივე მეუკიდნობა ახასიათებს.

4. ხეების ადგილმდებარეობა გავლენას ახდეს „C“ ვიტამინისა და შაქრების დაგროვებაზე, რაც შემჩნეულია აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ვაკეზე მდებარე ხის ნაყოფში.

5. ნაყოფში შაქრის ზრდასთან ერთად იზრდება „C“ ვიტამინიც, ეს უკანასკნელი დაკავშირებულია გლუკოზისთან და საერთოდ შაქრების ზრდას ამ ადგილებში კავშირი აქვს ფოტოსინთეზის ინტენსიონალისთან. „C“ ვიტამინის პროცენტობით შესაძლებელია ვეძიოთ შაქრში.

6. ციხისძირის ფორმოხალი მისი ქიმიური შედგენილობით უახლოვდება იაფას ფორმოხალს (იერუსალიმი). ძირითადი ქიმიური შემადგენლობის მსგავსებასთან ერთად, ის განირჩევა უკანასკნელისაგან ლიმონმჟავას მეტი რაოდენობით: იაფასათვის 1,71 — 0,65 %, ციხისძირისათვის კი — 2,16 — 2,38 %.

7. ფორმოხლის ქერქში, მსგავსად მანდარინებისა და ლიმონებისა, მეტი არის „C“ ვიტამინი, ვიდრე გულში.

8. „C“ ვიტამინის შეცულობის მხრივ ფორმოხალს უკავია საშუალო ადგილი მანდარინსა და ლიმონს შორის, ხოლო ქერქში შეცულობის მხრივ მეორე ადგილი.

9. ციხისძირის ლიმონები თავისი ლირსებით უახლოვდებიან კალიფორნიისას და „კომუნას“, შეიცავენ ლიმონმჟავას მნიშვნელოვან რაოდენობას და, შედარებით სხვებთან, თხელ-კანიანები და ღიღგულიანები არიან.

အမှား မှတ်	နိုင်ငံရုရွှေဘာစာ လာသားလျှော့	အမှား မှတ်	ရုပ် မြတ်ပုံပုံပုံပုံ	ပါန္တာရေ	ပါန္တာရေ	ပါန္တာရေ	ပါန္တာရေပုံပုံပုံပုံ			ပါန္တာရေပုံပုံပုံပုံ		
							ပါန္တာရေ	ပါန္တာရေ	ပါန္တာရေ	ပါန္တာရေ	ပါန္တာရေ	ပါန္တာရေ
1	မာန္ဒ.	27	ပုံပုံပုံပုံ	86,96	25,92	4,33	2,89	2,04	9,80	9,30	5,78	
2	"	28	ပုံပုံပုံပုံ	87,48	24,96	3,43	2,39	1,04	8,08	7,67	5,01	
3	"	29	ပုံပုံပုံပုံ	88,05	24,20	3,94	2,83	1,11	8,56	8,15	0,66	
4	"	30	ပုံပုံပုံပုံ	89,47	24,97	3,009	2,38	0,71	8,32	7,90	5,13	
5	"	3	ပုံပုံပုံပုံ	86,21	27,93	4,05	3,05	1,00	9,87	9,47	5,80	
6	"	4	ပုံပုံပုံပုံ	85,15	28,02	4,54	3,47	2,07	10,55	10,00	7,75	
7	ဖုန်း	245	ပုံပုံပုံပုံ	85,95	64,96	3,87	2,10	1,77	6,84	6,49	4,46	
8	"	269	"	85,95	64,96	3,40	1,19	1,44	6,04	5,78	3,70	
9	ဗြိုင်း	175	"	86,59	75,80	1,60	1,26	0,34	2,40	2,28	1,93	
10	"	316	"	86,57	62,55	1,50	1,06	0,44	2,28	2,16	1,87	

შემდეგ ფრუქტობა გრ. %	სახარობა გრ. %	საერთო მც. გადასაწყ. ლი. მც. გრ. %	ექსტრაქტი გრ. %	შეცვლში სანადი ნაცარი % გრ.	ექსტრაქტი ცელულინი გრ. %	პერტ. ნივთიერება Ca-მის გრ. საზორ გრ. %	ნაცარი გრ. %	მორიგეობის დრო მორიგ. და მცენარ. ნივთ. გრ. %	გაეტების დრო გრ.	გულში ასპ. მც. რაოდენ. გრ. გრ. %	კარი ასპ. მცაულენ. გ. გრ. %	
4,02	4,33	1,27	11,41	0,36	0,35	0,32	0,43	0,023	10/XII 1938	13/XII 1938	42,76	95,60
3,01	4,24	1,13	11,04	0,40	0,36	0,22	0,45	0,025			41,17	99,70
2,66	4,21	0,84	10,52	0,36	0,24	0,24	0,41	0,029			39,90	97,66
3,29	4,81	0,82	11,51	0,49	0,43	0,19	0,53	0,021			40,18	97,90
4,10	5,42	1,13	13,14	0,38	0,44	0,21	0,46	0,022			40,55	103,95
2,80	5,46	1,04	12,98	0,42	0,52	0,23	0,50	0,030			41,88	106,15
2,38	2,62	2,16	11,12	0,54	0,89	0,21	0,58	0,019	15/I 1939		65,45	86,66
2,34	2,37	2,38	11,30	0,41	0,80	0,22	0,53	0,092			66,17	82,21
0,47	0,68	7,48	12,05	0,49	0,51	0,62	0,56	0,067			82,16	207,00
0,41	0,66	6,94	11,69	0,51	0,55	0,63	0,56	0,066			79,19	233,0

Н. Цицишвили и Т. Кифаренко

Анализ плодов некоторых цитрусовых из Цихисдзирин и содержание в них витамина „С“

(Р е з ю м е)

Изучены плоды некоторых цитрусовых, собранных на участке № 2 подсобного хозяйства Тбилисского государственного университета имени Сталина в Цихисдзирин, с определением химического состава и содержания в них витамина „С“. Проанализирован урожай за два года (1937 и 1938), причем выяснилось, что урожай за 1938 год был богаче урожая за 1937 год, что следует объяснить поздним сбором урожая, а возможно и условиями погоды в 1937 году.

Цихисдзирские мандарины „Уншиу“, по сравнению с кавказскими „Уншиу“ и „Микадо“, более богаты сахаром. Наиболее богатыми по содержанию сахара и витамина „С“ оказались насаждения, расположенные на склонах, обращенных к востоку и югу, а также находящиеся на верхнем плоскогорье.

Накопление сахара связано с интенсивностью фотосинтеза. Наблюдается параллель между накоплением сахара, в особенности глюкозы, и витамина „С“. Авторы склонны видеть в сахаре провитамин „С“.

Цихисдзирские апельсины по своему химическому составу в основном приближаются к яффским (Иерусадим), отличаясь от них большим содержанием лимонной кислоты. По содержанию витамина „С“ кожура мандарина, лимона и апельсина богаче мякоти. Апельсин занимает среднее место между мандаринами и лимонами по содержанию витамина „С“. Цихисдзирские лимоны по своему качеству приближаются к „Калифорнийским“ и к „Коммуне“, содержат больше лимонной кислоты и, по сравнению с другими сортами, имеют тонкую кожурку и ядро больших размеров.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

1. А. Черкес, Витамины и авитаминозы, М., 1929 г.
2. В. Букин, Витамины, распространение, природа и свойства, 1937 г.
3. Н. Бессонов, Витамины, 1936 г.
4. Журн. „Советские субтропики“, 1938 г., № 4.
5. Журн. „Биохимия“, 1939 г.

6. Н. Демьянов и Д. Прянишников, Общие приемы анализа растительных веществ, 1933 г.
 7. Ф. Церевитинов, Химия свежих плодов и овощей, 1937.
 8. Проблема витаминов, 1937, Н. Онохова, „Динамика накопления витаминов в сортах ягод“.
 9. Журн. „Советские субтропики“ 1940, № 4.
 10. Журн. „Советские субтропики“, 1938 г., № 4.
 11. К. Функ, Витамины, М., 1929.
 12. J. Tilmans, P. Hirsch, J. Jackisch; Zeitschrift f. Untersuchung der Lebensmittel. Band 63, Heft 3. 1932.
-

6. ციციშვილი, ჩ. ქოგულაძე

გრეიფრუტის ანალიზი და ვიტამინი „C“

ციციშვილის მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის ანალიზი და მათში „C“ ვიტამინის განსაზღვრა, მიღებული შედეგებით, წარმოდგენილი იყო შრომაში: ნ. ციციშვილი და თ. კიფარენკო, ციციშვილის ზოგიერთი ციტრუსოვანი მცენარის ნიყოფის ანალიზი (თბ. ს. უ. შრომები, XX). ახლა მოგვყავს ციტრუსოვან მცენარეთა კიდევ ერთი წარმომადგენლის—გრეიფრუტის ანალიზის შედეგები.

ამ ძვირფასი მცენარისადმი ინტერესი დღით-დღე იზრდება, რაც გამოწვეულია მისი ნაყოფის მაღალი ოვისებით, რომლებიც ცნობილია არა მარტივებითს მრეწველობაში, არამედ მედიცინაშიც. მისი გაშენება პირველ ხანებში დეკორაციულ მიზნებს ემსახურებოდა, შემდეგ კი კვებითი მნიშვნელობისაც გახდა.

ამგამად გამორკვეულია, რომ გრეიფრუტის ერთ-ერთ ღირსებას ერთდროულად მასში რამდენიმე ვიტამინის შეცულობა წარმოადგენს, რაც საგრძნობლად აღიდებს მის ლირებულებას.

ლიტერატურაში მოპოებული მასალებიდან ჩანს, რომ გრეიფრუტის იყენებდნენ (მაგ., აშშ-ში) მაღალის საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ხმარობდნენ თრგანიზმის ნივთიერებათა ცვლის პროცესის დარღვევის შემთხვევაში, მისი რეგულირებისათვის, ძვლის სისტემის გასამაგრებლად და სხვა.

კვებითს მრეწველობაში გასავალი აქვს როგორც ნედლ გრეიფრუტს, ისე კრისტალურებულს, რომლის დამზადების დროს მასალის ნარჩენებს იყენებენ სხვა-დასწავა მიზნისათვის; მაგ., კანისაგან ხდიან ეთეროვან ზეთებს, ალბედოსაგან ამზადებენ საქონლის საკვებს და სხვ. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ გრეიფრუტი ყურადღების მიერებული გამხდარი და სათანადო ადგილი დაუკავებია სხვა ციტრუსოვან მცენარეთა შორის.

საბჭოთა ქვეყანაში არსებობს ყველა ის პირობა, რასაც ამ მცენარის ფართოდ გაშენება მოითხოვს. შეიძლება სანაბიროები თავისი შესაფერი ნიადაგითა და კლიმატური პირობებით საჟურტესო ბაზას წარმოადგინენ ამ სასარგებლო კულტურის გავრცელებისათვის.

პარტიისა წა მთავრობის მიერ მოცემული დირექტივის საფუძველზე, ქ. ფოთიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით აყვავებულა ლ. პ. ბერიძას

სახელმბის გრეიფრუტის საბჭოთა მეურნეობა. აქ გაშენებული გრეიფრუტული 90% დუნკანის ჯიშისას წარმოადგენს, რომელიც უთესლოა და ყინვაგაძლევა.

ჯერ კიდევ 1938 წელს ციციშვილი კულტურების პლანტაციებს ეკავა 83,5 ჰექტარი ფართობი, მათ შორის გრეიფრუტზე მოდიოდა 56. ამავე წლის მოსავალი 27.000 ცალს შეადგენდა, 1940 წლისათვის 200,000-მდე გაიზარდა, ხოლო 1942 წლის ბოლოს უნდა 800,000 მიაღწიოს.

ასეთია საღლეისო მდგომარეობა ამ მცენარის გაშენების საქმეში, რომლის წინსვლა და გაფართოება მოითხოვს აღნიშნული კულტურის ყოველ აღვილზე მოყვანილ ნაყოფის ქიმიურად შესწავლას და ვიტამინების რაოდენობის შეცულობის მხრივ გამორკვევას. რაც უფრო მეტად და ვრცლად იქნება იგი ჩატარებული, მით უფრო მეტ საშუალებას მოგვცემს გრეიფრუტის ნაყოფის ეფექტიანი გამოყენებისათვის.

ჩვენ განვიზრობეთ ჩვენი ანალიზებით გავვემდიდრებია გრეიფრუტის ორგვლივ არსებული მასალები, რაღაც, რამდენადაც ვიცით, მისი შედარებითი სრული ანალიზი ნაკლებადაა მოცემული.

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა დუნკანის ჯიშის 1938 და 1939 წელს. მოსავლის რეა ნაყოფი, მათ შორის ორი ქუთაისის რაიონისა, სახელდობრ, სოფ. ობშევითიდნ, ხოლო დანარჩენი — ბათუმის მიღამოებიდან ჩამოტანილი.

„C“ ვიტამინს ესაზღვრავდით ციციშვილის მცენარეთა ნაყოფისათვის მიღებულ საქმაოდ სარწმუნო ტილმანსის წესით, დანარჩენ შემაღებელ ნივთიერებათა განსაზღვრა კი ხდებოდა მათოვის მიღებული წესებით, მაგალითად: რედუქციული შაქრები ისაზღვრებოდა ბერტრანდის წესით, გლუკოზა — ვილ-შტერერისა და შუდლის მიხედვით, ფრუქტოზა — რედუქციული შაქრებისა და გლუკოზის სხვაობით, პექტინური ნივთიერება Ca-მარილის სანით მელიტიკას წესით და მეტანონბა $\frac{1}{10}$ NaOH ხსნარის გამოყენებით და ლიმონმეტანი ჟე გადაანგარიშებით. „C“ ვიტამინის რაოდენობა შოცემულია შილიგრამ% მშენებით. „C“ ვიტამინის რაოდენობა შილიგრამ% მშენებით არ შეიცავს ასკორბინმეტანის, რაც „C“ ვიტამინის ფოტოსინთეზი კაშირის მაჩვენებელია.

ამრიგად:

1. შესწავლილია ქუთაისისა და ბათუმის რაიონებიდან ჩამოტანილი გრეიფრუტის 8 ნაყოფი, მათში „C“ ვიტამინისა და სხვა შემაღებელ ნივთიერებათა მხრივ.

2. 5 ნაყოფის მიმართ, რომლებშიც „C“ ვიტამინი განსაზღვრული იყო ვულში, ალბედოში, კანსა და მარცვალში, ალინინდა, რომ აღმაღებელი ნივთიერებით ყველაზე მდიდარია კანი, შემდეგ ალბედო და ბოლოს გული. მარცვალი სრულებით არ შეიცავს ასკორბინმეტანის, რაც „C“ ვიტამინის ფოტოსინთეზი კაშირის მაჩვენებელია.

3. 1938 და 1939 წლების მოსავალს შორის „C“ ვიტამინით მდიდრია 1939 წლის ნაყოფი, რაც შეეხება 1938 წელს, მასში აღნიშნული ვიტამინის სიმცირე შეიძლება გამოწვეული იყოს დაშლის პროცესის დაწყებით, ეინადან ამა წლის ნაყოფისათვის მათი მოტანისა და ანალიზის გაკეთების დროს შორის შეტერი მანძილია, კიდევ მეორე წლის ნაყოფისათვის.

ପ୍ରକାଶନ ନଂ ୧



4. „С“ ვიტამინის რაოდენობრივ ზრდას გრეიფრუტის ნაყოფის მაღალი სდევებს შექრის (გლუკოზის) დიდი რიცხვი. მაგალითად, გლუკოზა: 2,81 გრ. %; 3,27; 3,67; „С“ ვიტ.: 42,78 მილ. %; 49,7; 54,8.

5. გულში მოპოებულ „С“ ვიტამინის რაოდენობის მեრივ გრეიფრუტი უახლოვდება ფორთოხალს, ხოლო კანში მიღებულის მხრივ მაღლა დგას ლიმონზე.

Н. Цицишвили, Ч. Кобуладзе

Анализ грейпфрута и витамин „С“.

(Резюме)

1. Проанализировано восемь образцов плодов грейпфрута, доставленных из Кутаисского и Батумского районов. Дано определение их химического состава и витамина „С“.

2. В пяти случаях определялся витамин „С“ как в мякоти, так и в кожуре, альбедо и зернах. Оказалось, что витамином „С“ богаче всех кожура, затем следуют альбедо и мякоть. В зернах витамин „С“ вовсе не обнаружен.

3. Отмечается некоторая связь между накоплением сахара (глюкозы) и количеством витамина „С“, напр., содержание глюкозы: 2,81 %, 3,27 % и 3,67 % и соответственно содержание витамина „С“: 42,78 %, 49,7 % и 54,8 %.

4. По содержанию витамина „С“ в мякоти грейпфрут приближается к апельсину, а по содержанию его в кожуре он богаче лимона.

ლიტერატურა

1. Журн. „Советские субтропики“, 1936, № 1, № 2, № 3.
2. Журн. „Советские субтропики“, 1938, № 4.
3. В. Н. Букин, Витамины, распространение, природа и свойства, 1937 г.
4. Н. Я. Демьянов и Н. Д. Прянишников, Общие приемы анализа растительных веществ.
5. Д. В. Церевитинов, Химия свежих плодов и овощей.

ა. ცოდნადო, ი. გვარდიონელი

აცეტილენის ნაფარმების დაცილრიცხვის შესახებ

2,5 მეტილ-ჰექსტრინ — 3 — დიოლი 2,5 კატალიზატორი
ჰიდროგენიზაცია

აცეტილენის რიგის ნაფარმების პიდროგენიზაციის ირგვლივ ჩვენ მიერ წინა შრომაში გამოთქმული იყო აზრი, რომ აცეტილენის რიგის γ—გლიკოლების პიდროგენიზაციის სისწრაფე, კოლონიდური პალადიუმის მონაწილეობის დროს, დამოკიდებულია გლიკოლებში არსებული რადიკალებით გამოწვეული სივრცით დაბრკოლებებით¹. ექსპერიმენტის საგნად ჩვენ მიერ აღმუშავი იყო ისეთი გლიკოლები, რომლებსაც აქვთ ერთიდაიგივე მოლეკულური წონა, მაგრამ რადიკალების სხვადასხვა ტიპი ფუნქციონალურ ჯგუფთან, მაგ., ტეტრაეთილბუთინდიოლისა და დიმეთილ-დიიზოპროპილბუთინდიოლის პიდროგენიზაციის დროს ერთნაირ პირობებში გამოირჩეა, რომ პირველი პიდრინდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე მეორე.

აგრეთვე, ტეტრაეთილბუთინდიოლისა და დი (1-ოქსიციკლობენტილ) აცეტილენის პიდროგენიზაციის შემთხვევაში, მათ შორის მეორე გაცილებით სწრაფად პიდრინდება, ვიდრე პირველი².


გარდა ამისა, გამორკვეულ იქნა, რომ, თუ ჩვენ ავილებთ გლიკოლს შერეული რადიკალებით, ორგონიკაა, მაგალითად, 3-მეთილ—1-(1-ოქსიციკლობენტილ) ბუთინ—1 იქსი—3 და შევადარებთ დი (1-ოქსიციკლობენტილ) აცეტილენის პიდრინდების სისწრაფეს ერთიდაიგივე პირობებში, დავინახავთ, რომ პენტილის რადიკალის შეცვლა ორი მეთილით იწვევს პიდრინდების სიჩქარის შენელებას³. თუ ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებს შევადარებთ ერთიმეორეს მათში არსებული რადიკალების ტიპების საფუძველზე, ნათლად და ადგილად შევამჩნევთ, რომ ყველა ცალკეულ შემთხვევაში ამგარად მუღავნდება სივრცითი დაბრკოლების უდაოდ დიდი მნიშვნელობა პიდროგენიზაციის სიჩქარის დროს კოლონიდური პალადიუმის მონაწილეობით.

პ-მეთილ-1-(1-ოქსიციკლობენტილ) ბუთინ—1—იქსი—3 პიდრინდება იმდენად ნელა, რომ მისი სიჩქარე უფრო უახლოვდება ტეტრაეთილბუთინდიო-



ლის, ვიდრე დი (1—ოქსილიკლოპენტილ) ოცეტილენის სიჩქარეს, მაგრამ უფრო სწრაფად ჰიდრინდება, ვიდრე ტეტრამეთილბუთინდიოლი.

რადიკალების სიერცითი განლაგებით გამოწვეული სივრცითი დაბრკოლებების ასახსნელია ჩვენ გადავწყვეტეთ მიგველო ისეთი გლიკოლი, რომელიც კიდევ უფრო დაგვარწმუნებდა აღნიშნული მოვლენის არსებობაში, რისთვისაც სინთეზირებულ იქნა ვ. ტეტერინისა და ა. ივანოვის წესით*, დიმეთილ-აცეტილენილ კარბინოლის მაგნიორგანულ ნაერთშე შეთილეთილეტონის მოქმედებით, 2,5-მეთილ-ჰეპტინ-3-დიოლი 2,5:




ეს გლიკოლი უსიმეტრიო აგებულებისა, რომელიც ძნელიად მოძრავ ზეთის-მაგვარ უფრო სითხეს წარმოადგენს. დუღ. ტემპ. 110—111° (B = 10—11 მმ.). ორ ატომ წყალბადის შეერთებას 2 მ. გრ. პალადიუმის შემთხვევაში დასჭირდა 33 წუთი (იხ. ცხრილი მე-2), მაშინ როდესაც ტეტრამეთილბუთინდიოლს იმავე პირობებში მოუნდა 24 წუთი. ეს შედეგები სავსებით ამტკიცებენ იმას, რომ მეტილის შეცვლა ეთილით იწვევს ჰიდროგენიზაციის სიჩქარის შემცირებას. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, ეს მოვლენა უნდა მიერწეროთ იმას, რომ ეთილის რადიკალმა უფრო მეტად დაპუარა ფუნქციონალური ჯვეფი წინააღმდეგ მეთილისა და, ამრიგად, ხელი შეუშალა ჰიდრირებას.

ჩვენ ჩატარებულ იქნა აგრძლევ ცდები სხვადასხვა რაოდენობის კატალიზატორით; გამოიირკვა, რომ, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც კატალიზატორის გადიდებამ გამოიწვია ჰიდროგენიზაციის სიჩქარის საგრძნობლად გადიდება. ცდები წარმოებულ იქნა 2, 3 და 5 მ. გრ. პალადიუმით 0,01 გრ. მოღ. გლიკოლზე (იხ. ცხრ. მე-2, მე-3 და მე-4), რომლებმაც გვიჩვენეს, რომ ჰიდრირების სიჩქარე იზრდება კატალიზატორის გადიდებასთან ერთად, მაგრამ გაცილებით უფრო ნელა, ვიდრე უკანასკნელი. მაგალითად, თუ ავილებთ კონსტანტის საშუალო სიდიდეს 90 %-დე, ვღებულობთ შემდეგი სისის დამოკიდებულებას:

კატალიზატორის რაოდენობა . . .	2 მ. გრ.	3 მ. გრ.	5 მ. გრ.
K.10 ³ საშუალო	3,1 "	3,7 "	5,0 "

სხვათა შორის, ამგვარ დამოკიდებულებას კატალიზატორის გადიდებით ვხვდებით თითქმის გლიკოლის ყველა შემთხვევაში.

ჰიდროგენიზაციის შედეგად მიყიდეთ ეთილენის რიგის გლიკოლი



რომელიც შედარებით უფრო მოძრავ, უფერო ზეთს წარმოადგენს, ვიდრე აცე-

ტილენიანი გლიკოლი, დუღ. ტემპერატურით 116° 11 მ.მ. წნევის პირობებით 20^o-ის დროს 0,9429.

ექსპერიმენტული ნაშილი

1. 2,5-ზეთილ-ჰეპტინ-დიოლი 2,5 სინთეზი და მისი ჰიდროგენიზაცია

ჩვეულებრივი წესით მიღებულ 24 გრ. მაგნიუმისა და 110 გრ. ბრომეთილის ხსნარს ყინულიანი წყლით გაცივებთ და ზუსტი მექანიკური მორევის პირობებში წვეთობით 2 საათის განმავლობაში მიღმატეთ 42 გრ. დამეთილ-აცეტილენილკარბინოლი. ორაქციის დასრულების მიზნით სარეაქციო რევნარი გავაჩერეთ 3—4 საათს, რის შემდეგ 42 გრ. მეთილ-ეთილკეტონს, თანასწორი მოცულობის მშრალ ეთერში განხავებულს, საწვეთი ძაბრიდან ვუმატებთ წვეთ-წვეთობით. ორაქციის დამთავრებამდე ვაწარმოებდით ინტენსიურ მექანიკურ მორევას. სარეაქციო რევნარი დავტოვეთ 24 საათის განმავლობაში, რის შემდეგ იგი მაგნიუმის კომპლექსის დასაშლელად დავამუშავეთ წყლიანი ეთერით. ეთეროვანი ხსნარი გავაშრეთ გამლლველი პოტაშით და ეთერის გადადენის შემდეგ მივიღეთ მოყვითალო ფერის გლიცერინისმაგვარი ზეთი. ეს ზეთი არ კრისტალდება, ხოლო ვერცხლის ფანგის ამონიაკალურ ხსნართან იძლევა ნალექს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ის ნაწილობრივ შეიცავს ორაქციაში შეუსაველ დამეთილ-აცეტილენილ კარბინოლს. სპირტის მოშორების მიზნით ვაწარმოეთ ხსნარის გამოხდა წყლის ორთქლით. კულაში დარჩენილი ნივთიერება გამოვწვლილეთ ეთერით, გავაშრეთ პოტაშით, გადავდენეთ ეთერი და მივიღეთ სქელი, ძნელად მოძრავი სითხე ჩაოდენობით 18 გრამი, რომელიც $10-11$ მ.მ. წნევის დროს დუღს $110-111^{\circ}$ ზე. ეს ნივთიერება წარმოადგენს ძნელად მოძრავ, უფერო ზეთისმაგვარ სითხეს, რომელიც აღმოჩნდა მოსალოდნელი გლიკოლი შერეული რადიკალებით.

0,2008 გრ. ნივთ.: 0,5099 გრ. CO_2 ; 0,1883 გრ. H_2O

0,132 გრ. ნივთ. 25 გრ. ბენზოლში: $\Delta t = 0,169^{\circ}$

ნაპოვნია %: C 69,24; H 10, 41; M 159,3

$\text{C}_9\text{H}_{16}\text{O}_2$ გამოანგარიშებულია %: C 69,17; H 10,32; M 154,1

$d_{20}^{20} = 0,9577$. $n_D^{20} = 1,45693$ ნაპოვნია: MR=44,02

$\text{C}_9\text{H}_{16}\text{O}_2$ გამოანგარიშებულია MR=44,81

ჭიდროქსილის ჯგუფის განსაზღვრა ცერევიტინოვის წესით:

0,2616 გრ. ნივთ.: 81,5 მლ. ეთანი (18° , 715 მ. მ.)

$\text{C}_9\text{H}_{14} (\text{OH})_2$. გამოანგარიშებულია 83 მლ.



2. 2,5 მეთილ-ჰექტრინ-3-დიოლი 2,5-ის ჰიდროგენიზაციული

კატალიზატორად ვხმარობდით ხორბლის სახამებლით მომზადებულ კოლოიდურ პალაციუმს, რომლის 1 მლ. ხსნარი შეიცავდა 1,6 მ. გრ. პალაციუმს. კატალიზატორის აქტიობა შევამოწმეთ ტეტრამეთილბუთინდიოლის ჰიდრირებით, რომლის 0,01 გრ. მოლი, 2 მ. გრ. პალაციუმის შემთხვევაში დაიდრირდა 24 წუთის განმავლობაში. რეაქციის მიმღინარეობის ნათელსაყოფად მოვიყანთ ერთ-ერთ ცდას:

ც ხ რ ი ლ ი 1-ლ ი

ცდა 1-ლი. 1,423 გრ. გლიკოლი (0,01 გრ. მოლი) 2 მ. გრ. პალაციუმი, 50 მ. ლ. სპირტი;

B 714 მმ. T 13°; H₂ 271 მლ.

t	3	6	9	12	15	18	21	24
v	50	51	46	38	33	30	21	4
V	50	101	147	185	217	248	269	273
%H ₂	18,4	37,2	54,2	68,2	80,0	91,5	99,2	100,7

ჰიდროგენიზაციის სიჩქარის შედარებისათვის რეაქცია ვაწარმოეთ ერთსა-დაიშავე პირობებში ერსთადამავე დღეს, როგორც ტეტრამეთილბუთინდიოლის, აგრეთვე 2,5 მეთილ-ჰექტრინ-3—დიოლი 2,5-ის.

მოვიყანთ ჩვენ მიერ წარმოებულ ცდებს:

ც ხ რ ი ლ ი მ ე - 2

ცდა მე-2. 1,705 გრ. გლიკოლი (0,01 გრ. მოლი) 2 მ. გრ. პალაციუმი, 50 მლ. სპირტი

B 714 მმ., T 13°; H₂ 285 მლ.

t	3	6	9	12	15	18	21	24	27	30	33
v	42	41	41	38	36	31	29	15	13	5	4
V	42	83	124	162	198	229	258	263	276	281	285
%H ₂	14,67	29,1	43,5	56,8	69,4	80,3	90,5	92,2	96,8	98,6	100
K.10 ³	2,2	2,4	2,7	2,6	3,4	3,9	4,7	4,5			

ც ხ რ ი ლ ი მ ე - 3

ცდა მე-3. 1,557 გრ. გლიკოლი (0,01 გრ. მოლი), 3 მ. გრ. პალაციუმი, 50 მლ. სპირტი

B 714 მმ. T 13°, H₂ 292 მლ.

t	3	6	9	12	15	18	21	24	27	30
v	50	50	45	42	34	30	18	13	6	5
V	50	100	145	187	221	251	269	282	288	293
%H ₂	17,1	34,2	49,3	64,0	72,3	85,9	92,1	96,5	98,6	100
K.10 ³	2,6	2,9	3,3	3,6	3,7	4,7	5,2			

ც ხ რ ი ლ ი მ კ - 4

მ ა რ ი ც უ ა ლ ი
გ ი გ ლ ი რ ი მ ი ნ ა

ცდა მე-4. 0,1705 გრ. გლიკოლი (0,01 გრ. მოლი), 5. გრ. პალადიუმი, 50 მლ. სპირტი,

B 714 გ.გ., T 13°, H₂ 305 მლ.

t	3	6	9	12	15	18	21	24	27
v	73	70	54	39	27	19	11	7	5
V	73	143	197	236	273	282	294	301	305
%H ₂	29,9	46,8	64,5	77,3	86,2	92,2	96,0	98,3	100
K·10 ³	3,7	4,3	4,9	5,3	5,7	6,1			

თუ ერთი მეორეს შევადარებთ პირველ (1) და მეორე (2) ცდის შედეგებს, დაენახავთ, რომ ტეტრამეთილბუთინდიოლი ჰიდრირდება 24 წუთის გან-მავლობაში, მაშინ როდესაც იმავე პირობებში აღებული ჩვენი გლიკოლი ჰიდ-რირდება 33 წუთში, რაც ამტკიცებს იმას, რომ მეთილის რადიკალის შეცვლა ეთილით იწვევს ჰიდროგენიზაციის სიჩქარის შემცირებას. თუ შევადარებთ მეორე (2), მესამე (3) და მეოთხე (4) ცდებს ერთი მეორეს, დაენახავთ, რომ კატალიზატორის გადადება იწვევს ჰიდროგენიზაციის სისწრაფის ზრდას იმ მი-მართულებით, როგორც ეს დამახასიათებელია საერთოდ აცეტილენის რიგის უ-გლიკოლებისათვის.

2. 2,5 მეთილ-ჰექტენ-3-დიოლი 2,5

გლიკოლის ჰიდრირების დამთავრების შემდეგ ხსნარს მოვაშორეთ პალა-დიუმი. სპირტი გადავდენეთ შემცირებული წნევის პირობებში, კულაში ნარჩენი სითხე გამოვწვლილეთ ეთერით, გავაშრეთ პოტაშით და გადავდენეთ ეთერი-დარჩენილი ზეთისმაგვარი მასა გამოვხადეთ ფრაქციონალურად, მისი დუ-ლილის ტემპერატურა 11 მმ. წნევის დროს 116°-ია.

0,1725 გრ. ნივთ.: 0,4257 გრ. CO₂; 0,1742 გრ. H₂O0,1374 გრ. ნივთ. 25 გრ. ბენზოლში $\Delta t = 0,173^\circ$

ნაპოვნია %: C 67,88; H 11,11; M 162,2

C₉H₁₈O₂ გამოანგარიშებულია %: C 68,29; H 11,47; M 158,1

$$d_{20}^{20} = 0,9429$$

ჰიდროქსილის ჯგუფის განსაზღვრა ცერევიტინოვის წესით:

0,1132 გრ. ნივთ.: 34,8 მლ. ეთანი (22°, 744 მმ.).

C₉H₁₆(OH)₂. გამოანგარიშებულია 35,8 მლ.

ზედეგები



სინთეზირებული და აწერილია თვისებები 2,5 მეთილ-ჰეპტინ—3—დიოლი 2,5-ის და შესწავლილია მისი კატალიზირი ჰიდროგენიზაცია. გამოსქმულია აზრი, რომ მეთილის რადიკალის შეცვლა ეთილით ამცირებს ჰიდრირების სიჩქარეს და ეს ასნილია სივრცითი დაბრკოლებით, რომელიც გამოწვეულია ფუნქციონალურ ჯგუფთან ეთილის რადიკალის ყოფნით. ჰიდრირების შედეგად მიღებულია და აწერილი 2,5. მეთილ-ჰეპტენ-3-დიოლი 2,5*.

A. Ногайдели, И. Гвердцители

О присоединении водорода к ацетиленовым производным

(Резюме)

Синтезированы и описаны свойства 2,5 метил-гептин-3-диола 2,5. Изучено его каталитическое гидрирование. Высказана мысль, что замена метильного радикала этильным уменьшает скорость гидрирования, что может быть объяснено пространственным препятствием, вызываемым существованием этильных групп, находящихся вблизи функциональной группы.

В результате гидрирования получен и описан 2,5 метил-гептен-3-диол 2,5.

ლიტერატურა

1. Залькинд Ю. С. и Ногайдели А. И.: Ж. О. Х., 8,1382 (1938).
2. Залькинд Ю. С. и Гвердцители И. М.: Ж. О. Х., 9,855 (1939).
3. Залькинд Ю. С. и Гвердцители И. М.: Ж. О. Х., 9,861 (1939).
4. Тетерин В. и Иванов А. П.: Ж. О. Х., 3, 373 (1933).

* ჩვენი შრომა უკვე აწყობილი იყო, რომ Ж. О. Х. ის X ტომში (გვ. 480) გამოქვეყნდა ა. ბაბაიანის შრომა, სადაც მის მიერ აწერილია 2,5-მეთილ-ჰეპტინ-3-დიოლი 2,5. ვინაზღაუნ აღნიშვნული გლიკოლი ჩვენ მიერ მიღებულია ჯერ კიდევ 1939 წ. სრულებით სხვა მეთოდით, დასაბეჭდად კი გადაცემული იყო 1940 წ. იანგარზი ბაბაიანის შრომის გამოსვლამდე, ვიტოვებთ უფლებას აღნიშვნოთ, რომ ხემოხსენებული გლიკოლი ჩვენ მიერ მიღებულ იქნად მომუკიდებლად.

პ. ცოდაილები, ქ. ძაგლიძე

აცეტილენის ნაზარებზე ზეალბაზის უერთების შესახებ

პ-დიტოლილბუთინდიოლის ძმარმჟავას ეთერის
ჰიდროგენიზაცია.

ერთ-ერთი ჩვენგანის მიერ¹ წინა შრომაში გამოთქმული იყო აზრი,
რომ აცეტილენის რიგის γ—გლიკოლების ჰიდროგენიზაცია კოლოიდური პალა-
დიუმით უფრო მეტად დამკიდებულია მათში არსებული რადიკალების ტიპებზე
და სივრცითს განლაგებაზე, ვიდრე რადიკალების წონაზე. მაგალითად, გამორ-
ჩეულია, რომ ერთიდანივე მოლეკულური წონის მქონე გლიკოლები, რომ-
ლებიც შეიცავენ თავიანთ მოლეკულაში სხვადასხვა ტიპისა და აგენტულების
რადიკალებს, ჰიდრირდებიან სხვადასხვა სიჩქარით. ამ მოვლენის საუკეთესო
ილუსტრაციას წარმოადგენს ტეტრაეთილბუთინდიოლი და დიმეთილ-დიიზო-
პროპილბუთინდიოლი, რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ აქვთ ერთიდა-
ივე მოლეკულური წონა, ჰიდრირდებიან სხვადასხვა ინტენსიონით, რაც უნდა
მიიღწეოთ რადიკალების ხასიათს, რომლებიც იწვევენ სივრცითს დაბრკოლე-
ბებს და ამით ამცირებენ რეაქციის სიჩქარეს.

აგრეთვე გამორჩეულია, რომ დი (1—ოქსი ციკლოპენტილ) აცეტილე-
ნისა და ტეტრამეთილბუთინდიოლის შემთხვევაში პირველი ჰიდრირდება უფრო
სწრაფად, ვიდრე მეორე, მიუხედავად იმისა, რომ პირველს აქვს გაცილებით უფრო
დიდი მოლეკულური წონა, ვიდრე მეორეს². ზალკინდისა და ი. გვერდ-
წითელის შრომის მიხედვით, ტეტრამეთილბუთინდიოლში მეთილის რადი-
კალების შეცვლა პენტილით ადიდებს რეაქციის სიჩქარეს, ე. ი. მცირდება
სივრცითი დაბრკოლების შესაძლებლობა, და ეს მოვლენა უფრო ნათელი გახ-
დება მაშინ, თუ დი (1—ოქსი ციკლოპენტილ) აცეტილენში ერთ-ერთი ციკ-
ლოპენტილის რადიკალს შეცვლით მეთილის რადიკალებით. ასეთი გლიკოლი
შესწავლილ იქნა ი. ზალკინდისა და ი. გვერდწითელის მიერ³, რომ-
ლებმაც დაამტკიცეს მეთილის რადიკალის უარყოფითი გავლენა, ციკლოპენტილ-
თან შედარებით, ჰიდროგენიზაციის დროს.

რაც შეეხება გლიკოლების რთულ ეთერს, ცნობილია, რომ ისინი (ეთე-
რები) ერთსადამავე პირობებში უფრო სწრაფად ჰიდრირდებიან კოლო-

